ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა – საქართველოს ისტორია

თამარ ოსაძე

დიკასტერია და მისი როლი საეკლესიო მმართველობაში (XVIII ს-ის II-ნახ-XIX ს-ის დასაწყისი)

ნაშრომი შესრულებულია ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: აპოლონ თაბუაშვილი

თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი ეხება დიკასტერიას და მის როლს საეკლესიო მმართველობაში XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის I ნახევარში, შედგება შესავალის, ხუთი თავისა და დასკვნისაგან.

ქართული სამართლის წყაროთა შორის საეკლესიო სამართალს ყოველთვის მნიშვნელოვანი როლი ეჭირა საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

ქართული სამართლის ისტორიაში ნაკლებადაა შესწავლილი საკითხი იმაზე, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო დავა ეკლესია-მონასტრებს შორის. ასევე ნაკლები ცნობები მოიპოვება, თუ რა სახით იყო წარმოდგენილი საეკლესიო სასამართლო XVIII საუკუნის საქართველოში.

ამ ნაშრომით შევეცადეთ წარმოგვედგინა, თუ როგორ ყალიბდება ქართულ სინამდვილეში საეკლესიო სასამართლო-დიკასტერია, რომლის საქმიანობის სფერო მხოლოდ ერთი კუთხით არ განისაზღვრებოდა. ასევე ის წინაპირობები, რამაც განაპირობა შემდგომში ასეთი ფუნქციის მატარებელი ორგანოს დაარსება, რომელიც არამარტო სასამართლო ფუნქციით შემოიფარგლებოდა, არამედ განიხილავდა მთლიანად საეკლესიო საქმეებსაც.

XIX საუკუნის დასაწყისიდან კი დიკასტერია სხვა სახეს იღებს და მისი კონტროლი რუსეთის ხელისუფლების უფლებამოსილებაშია.

ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ, თუ როგორ დაარსა საქართველოში დიკასტერია, ვინ იყო მისი სულისჩამდგმელი, ასევე მისი საქმიანობის სფერო. ამ ყველაფრის

წარმოჩენით კი გაირკვევა, თუ როგორ აისახა დიკასტერიის დაარსება იმდროინდელი სამეფოს პოლიტიკურ მოვლენებზე.

შინაარსი

ანოტაცია 2

შესავალი 4

თავი I . ეკლესიის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში..... 7

თავი II . დიკასტერიის დაარსება კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ პირველის მიერ..... 13

ა) დიკასტერია ძველ საბერძნეთში….....17

ბ) დიკასტერიის დაარსების დრო საქართველოში.....19

გ) დიკასტერიის შემადგენლობა. 22

თავი III . დიკასტერია, როგორც საეკლესიო საქმეების განმხილველი ორგანო XVIII საუკუნის II ნახევარში..... 25

თავი IV . დიკასტერია იოანე და დავით ბატონიშვილების კანონპროექტების მიხედვით.....34

თავი V . რუსეთში არსებული დიკასტერიის ფუნქციებისა და საქართველოში დაარსებული დიკასტერიის შედარებითი ანალიზი 38

თავი VI . დიკასტერია XIX საუკუნის I ნახევარში.....41

დასკვნა 46

დამოწმებული წყაროებისა და ლიტერატურის სია 49

Summary ……..52

შესავალი

XVIII საუკუნე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი ხანაა. ეს საუკუნეც წინა საუკუნეების მსგავსად უამრავი პრობლემებითა და ბრძოლებით აღინიშნება. გარეშე მტერი კვლავ ცდილობს ქართულ მიწა-წყალს დაეპატრონოს და საკუთარი მმართველობა დააწესოს. ქართველი ხალხი არაჩვეულებრივი ენერგიით იბრძოდა, რათა თავი დაეღწია ირან-ოსმალეთის ბატონობისაგან. ეს ორი დაუნდობელი დამპყრობელი ყოველთვის ცდილობდა, საქართველოს წინსვლა როგორმე შეეფერხებინა. ირან-ოსმალეთი ყოველთვის ცდილობდა თავიანთი გავლენა გაევრცელებინათ საქართველოს ტერიტორიებზე, 1555 წლის ამასიის ზავის აღდგენას ცდილობდნენ, რომლის თანახმადაც, აღმოსავლეთ საქართველო-ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალურ ტერიტორიებად ითვლებოდა.

XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან 40-იანი წლების ბოლომდე, ქართლ-კახეთის სამეფოში, ჯერ ოსმალები, შემდეგ კი ირანელები ბატონობდნენ. ირანელების წინააღმდეგ ბრძოლა მათი დამხობით დასრულდა, ხოლო ოსმალების აგრესიის შეჩერება იმერეთის მეფემ შეძლო და ფაქტიური დამოუკიდებლობა მოიპოვა.[1]

პოლიტიკური მთლიანობისათვის ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწიეს ქართველებმა XVIII საუკუნის II ნახევარში. ქართლისა და კახეთის სამეფო

[1] საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973. გვ 6-8.

გაერთიანდა, სამეფომ შეძლო ირანის ბატონობისაგან თავის დაღწევა. ამასთან ერთად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა შეიმჩნევა ქართლ-კახეთის სამეფოში.

მიუხედავად ამისა, ქართველ პოლიტიკოსებს ესმოდათ, რომ ეს მშვიდობა დროებითი იქნებოდა, სანამ ქვეყანა არ გაერთიანდებოდა და ეკონომიკურ საფუძვლებს არ განიმტკიცებდა. ასეთ სიტუაციაში გარეშე ძალის მფარველობა ხელისუფლებას მიაჩნდა დროებით და სწორ ნაბიჯად თავიანთი ქვეყნის განვითარებისათვის. ასეთ მფარველად კი ხელისუფლებამ ერთმორწმუნე რუსეთი მიიჩნია. ირანი და ოსმალეთი ქართველთა მართმადიდებლობას გაიხილავდნენ, როგორც მათ წინააღმდეგ მიმართული ორიენტაცია. ერთმორწმუნე რუსეთი კი ქართლ-კახეთს ყოველთვის აღუთქვამდა დახმარებას.

XVIII საუკუნეში საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ხალხი იწყებს დასახლებას, კახეთში ლეკები, ქართლში კი ოსები ჩამოდიან. ჩამოსახლებულთა შორის იყვნენ მაჰმადიანები და წარმართები, რასაც მოჰყვა საეპისკოპოსოებისა და ეკლესია-მონასტრების ქონების დატაცება. გაუქმდა მრავალი საეპისკოპოსო. მკვიდრ მოსახლეობას იტაცებდნენ ან მოსამსახურეებად აქცევდნენ, რასაც თან სდევდა მათი გაწარმართება და ეროვნული გადაგვარება.

ასეთი მძიმე სიტუაციის მიუხედავად ქართველ ერში მაინც აღმოჩნდა ძლიერი ეროვნული თვითშეგნება, რის განმტკიცებაზეც ზრუნავდა ქართული ეკლესია. მისი ამოცანა იყო ტყვეობიდან დაეხსნა ქრისტიანი მოსახლეობა და დაესახლებინა თავიანთ მამულებში. ეკლესია აგრეთვე ყურადღებას აქცევდა ხელოსნების, წიგნის გადამწერებისა და მხატვრების ქონებრივ უზრუნველყოფას. ეკლესიის ქონების ნაწილი მონასტრებისა და ტაძრების შემკობას ხმარდებოდა.

მძიმე საგარეო და საშინაო ვითარებით გამოწვეული დანაშაულებების სიხშირის გამო, რომელთა აღმოსაფხვრასაც საერო ხელისუფლება ვერ უმკლავდებოდა, საჭირო გახდა ეკლესიის ჩარევა და მისი ავტორიტეტი შესაბამისად გაიზარდა.

სახელმწიფოში ეკლესიის როლის ამაღლების გამო საერო სამართლისა და სამოქალაქო ცხოვრების მთელი რიგი საკითხები საეკლესიო სასამართლოს კომპეტენციას შეადგენდა.[2] საქართველოს ეკლესიამ თავიდანვე შეიძინა სახელმწიფოებრივი სხეულის ნიშან-თვისება და ამიტომ მისი სამართლებრივი მხარე დაკავშირებული იყო სახელმწიფო სამართალთან.

საქართველოს მაჰმადიანური სახელმწიფოებისაგან გათავისუფლებისა და ქრისტიანული სახელმწიფოს აღორძინებისათვის ქართულმა ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა.

XVIII საუკუნის II ნახევარში ქართულ საეკლესიო მმართველობაში გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა. კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I აარსებს სასამართლო ორგანოს – დიკასტერიას. ეს იყო პირველი შემთხვევა ქართულ სინამდვილეში.

ქართული სამართლის ისტორია ნაკლებადაა შესწავლილი, შესაბამისად ცოტა ინფორმაციაა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო დავა ეკლესია-მონასტრებს შორის, ასევე საერო და სასულიერო პირებს შორის.

საეკლესიო სასამართლოზე ინფორმაცია აქვს მოძიებული და მნიშვნელოვანი დასკვნები აქვს გაკეთებული მ. კეკელიას, რომელიც დიკასტერიის შესახებ საუბრობს თავის წიგნში: „სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ“.

ასევე მნიშვნელოვანი დასკვნები აქვს საეკლესიო სასამართლო ორგანიზაციაზე ი. სურგულაძეს თავის ნაშრომში „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის“. საინტერესოა ამ მხრივ ავტორის მეორე ნაშრომი: „სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში“.

საეკლესიო სასამართლო ორგანიზაციაზე მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვს მ. ლეკვეიშვილს თავის დისერტაციაში.

---

[2] ა.ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. IV. თბ. 2003. გვ 47-48.

XVIII საუკუნის II ნახევრის საეკლესიო სასამართლო ორგანიზაციაზე და მის საქმიანობაზე სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ: ა. ვაჩეიშვილს, ა. ჯაფარიძეს, ი. ნიკოლაძეს, ტ. რუხაძეს, პ.კარბელაშვილს, ვ. გურულს და ა.შ. მათი ნაშრომები გარკვეული დასკვნების გამოტანაში ძალიან გვეხმარება.

აღნიშნული საკითხების შესახებ ინფორმაცია თავმოყრილია სხვადასხვა წყაროებში. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ისტორიული დოკუმენტები, რომელთაგან გამოყენებული გვაქვს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საბუთები.

თავი I

ეკლესიის როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში

ერთიანი საქართველოს დაშლამ სათანადო ცვლილებები შეიტანა ქართულ სახელმწიფო მმართველობაში. ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლას თან გადაჰყვა მის დროს არებული სახელმწიფო წყობილება, მიმდინარეობს ძველი თანამდებობების დამცრობა, თითოეულ სამეფო-სამთავროს თავისი მმართველობის ორგანო ჰქონდა. ქვეყნის მართვა სახელმწიფო საბჭოს მეშვეობით ხორციელდებოდა. საერო და საეკლესიო მსხვილი ფეოდალებისაგან შემდგარი ეს სათათბირო ორგანო მეფით სათავეში განიხილავდა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტა დარბაზის სხდომებზე ხდებოდა. სასამართლოს ორგანიზაცია, მისი წარმოება სახელმწიფო მმართველობის ძირითადი ფუნქცია იყო. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური სამეფოში უმაღლეს მსაჯულს წარმოადგენდა. სახელმწიფო სასამართლო დაწესებულებას „დივანი“, ხოლო მის ხელმძღვანელს მდივანბეგი ეწოდებოდა. ასევე, ფუნქციონირებდა საეკლესიო სასამართლოც ანუ ეკლესია

სასამართლო საქმეებს თვითონვე არჩევდა. მსხვილ პრობლემებს კათალიკოსი, დანარჩენს კი ეპისკოპოსი განიხილავდა. [3]

ეკლესიას სასამართლოს ხაზით ხელი მიუწვდებოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის გარკვეულ საქმეებზე.

ვახტანგის სამართლის მიხედვით, მეფე და კათალიკოსი თანასწორნი არიან: ერთი – „ხორცის ხელმწიფე არის და მეორე – სულისა“. [4] ამიტომ ორივეს მიუწვდებოდა ხელი ადამიანის ყოველგვარ საქმიანობაზე. რადგან კათალიკოსი ადამიანის „სულის ხელმწიფეა“, ამიტომ მას ექვემდებარებოდა ისეთი საქმეები, რომლებიც რელიგიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო.[5]

სასამართლო ორგანიზაციამ ჩამოყალიბებული სახე მიიღო გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის აზრით, საქართველოს სახელმწიფოს მთელი მოსახლეობა ორ მთავარ სასამართლოს ექვემდებარებოდა: სამეფო სასამართლო დაწესებულებასა და საკათალიკოსო სასამართლო დაწესებულებას. ეს იხილავდა ქართული ეკლესიის ყველა დაწესებულებაში შემავალ პირთა საქმეებს, მათ შორის სამონასტრო ყმების საქმეებსაც. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, სამოსამართლო უწყებას მაშინ „სასჯულო სამრებლო“ ერქვა. [6]

საეკლესიო სასამართლოს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჩვენი ქვეყნის სასამართლო ორგანიზაციაში. ეს ეკლესიის უმნიშვნელოვანესი როლით იყო განპირობებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გვიანფეოდალურ საქართველოში ეკლესიის ყველა მსახური და ეკლესია-მონასტრის ყველა ყმა საეკლესიო სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა. ვახტანგის სამართლის წიგნში, კონკრეტულად კი, 61-ე მუხლში აღნიშნულია, რომ მკვლელობა ტანჯვის მიყენებით და

---

[3] ი. სურგულაძე. სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში. თსუ შრომები. ტ. 47. თბ. 1952. გვ 238-241.

[4] ქართული სამართლის ძეგლები. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, წყაროები გამოსცა ი. დოლიძემ. ტ. I. მუხლი 25. თბ. 1963. გვ 488-489.

[5] ი. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ. 1952. გვ 34-35.

[6] ვ. მეტრეველი. ქართული სამართლის ისტორია. თბ. 2003. გვ. 395.

რწმენის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული კათალიკოსს ექვემდებარება.[7] ძეგლში მითითებულია, რომ იყო ისეთი საქმეებიც, რომელთაც მეფე და კათალიკოსი ერთობლივად განიხილავდნენ, ასეთი იყო მაგალითად: მეფისადმი ორგულობა, ცოლის ტანჯვა ქმრის მიერ, მეფის სალაროს გატეხვა, და სხვ. ზოგ საქმეს კათალიკოსი დამოუკიდებლად არჩევდა. ზოგიერთი საქმისთვის გათვალისწინებული იყო საერო სასჯელი, საეკლესიო ეპიტიმია კი კათალიკოსს უნდა განესაზღვრა.[8]

გვიანფეოდალურ საქართველოში ეკლესიის ყველა დაწესებულების მსახური და ეკლესია-მონასტრის ყმა საეკლესიო სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარებოდა. საეკლესიო იურისდიქციას ექვემდებარებოდა მოსახლეობა ზოგიერთი კატეგორიის საქმეზე, კერძოდ საოჯახო-საქორწინო ურთიერთობებთან დაკავშირებით.[9]

ფეოდალურ საზოგადოებაში დიდ როლს თამაშობდა ეკლესია. ცალკე საეკლესიო დაწესებულებები: საეპისკოპოსოები, მონასტრები და ა.შ მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ. მათ ჰქონდათ პოლიტიკური უფლებები. ეკლესია ყოველთვის ცდილობდა დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინა და თავისი საქმეები თვითონ წარემართა. მათი ძლიერების გამოხატულება იყო ის, რომ ჰქონდათ სიმდიდრე, უძრავი და მოძრავი ქონების სახით. ამასთან, ეკლესია-მონასტრებს, გააჩნდათ სასამართლო იმუნიტეტი, მათ ჰქონდათ თავიანთი ყმების დასჯისა და გასამართლების უფლება. საეკლესიო საქმეები კათალიკოსსა და სასულიერო სასამართლოს ექვემდებარებოდა.[10]

გვიანფეოდალურ საქართველოში სასამართლო ფუნქცია მმართველობის ძირითად ფუნქციად ითვლებოდა. სწორედ სასამართლო დარგი გამოეყო მმართველობაში საერთო სისტემას და ფართო სახელმწიფოებრივი ხასიათი მიიღო.

---

[7] იქვე. გვ 402.
[8] იქვე. გვ 403-404.
[9] ა. ვაჩეიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. ტ. II. თბ. 1948. გვ. 51.
[10] მ. ლეკვეიშვილი. მდივანბეგების ინსტიტუტი გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში. დისერტაცია. თბ. 1953. გვ. 112-116.

მას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ცენტრალური ხელისუფლების ბრძოლაში ადგილობრივ ფეოდალებთან. სასამართლო ერთგვარად მჭიდროდ იყო დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან, სწორედ ამიტომ ფეოდალები ყოველთვის იბრძოდნენ სასამართლო ფუნქციების შენარჩუნებისათვის. მეფე კი თავის მხრივ, ცდილობდა ფეოდალებისათვის სასამართლო ფუნქციები ყველანაირად შეეზღუდა.

სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ ქართლის სამეფოს მსხვილი ფეოდალები, უმაღლესი მოხელეები, როგორც საერო ისე საეკლესიო ხაზით. გვიანფეოდალურ პერიოდში მოსამართლე იწოდებოდა მდივანბეგად, სულ სასამართლოში შედიოდა 3, 4 ან მეტი წევრი.[11] როდესაც მსხვილი საქმეები იყო გასარჩევი მეფე იწვევდა დარბაზს, რომელიც ამა თუ იმ მსხვილ საქმეს გაარჩევდა. ასეთი მსხვილი საქმე იყო მკვლელობა, ფეოდალების გაყრის საქმე და სხვა. ჩვეულებრივი სასამართლო ორგანო მდივანბეგის სასამართლო იყო. ფეოდალებს ისევე როგორც ეკლესია-მონასტრებს, სასამართლო იმუნიტეტი ჰქონდათ. ასეთ დროს სასამართლო ფუნქციები თავიანთ მამულებში მხოლოდ მათ ხელში იყო. თვითონ სასამართლო ორგანოები ერთმანეთთან არ იყვნენ დაკავშირებულები. მაგალითისთვის, თუ შევადარებთ მდივანბეგსა და ხევისთავს ორივეს ჰქონდა სასამართლო ფუნქციები, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ერთმანეთთან კავშირი, ისინი მხოლოდ მეფის წინაშე იყვნენ პასუხისმგებლები და ორივეს უფროსი მეფე იყო.[12]

მეფე სამეფოში უმაღლეს მსაჯულს წარმოადგენდა. სასამართლო ფუნქცია სწორედ მეფის სახელით ხორციელდებოდა. მეფესთან შესულ საჩივარს თვითონ განიხილავდა ან ვინმეს დაავალებდა საქმის გარჩევას. ერეკლე მეორემ 1778 წელს მოახდინა

---

[11] ი. სურგულაძე. სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში. თსუ შრომები. ტ. 47. თბ. 1952. გვ. 230-231.

[12] ი. სურგულაძე. სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში. თსუ შრომები. ტ. 47. თბ. 1952. გვ. 232-234.

სასამართლოს რეორგანიზაცია და მდივანბეგების სასამართლო უწყება ჩამოაყალიბა, სადაც განცხადებები შევიდოდა საქმის შესახებ.[13]

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი საქმე მეფეს ექვემდებარებოდა მხოლოდ და ამ საქმის გარჩევა სხვას არ შეეძლო. მაგალითად, სიგელის წართმევის შესახებ საქმეს მხოლოდ მეფე განიხილავდა. იყო ისეთი საქმეები, რომელთა განხილვა ეკლესიისა და მეფის კომპეტენციაში შედიოდა. მაგალითად, საყდრის გატეხვა და ხატის დამტვრევა, ეს საქმეები მეფის და ეკლესიის კომპეტენციაში შედიოდა. ასევე „კაცი რომ ცოლს სტანჯავდეს უპატიურად ეპყრობოდეს ურიგოს უშვრებოდეს“. [14] ასეთი საქმე მეფეს და კათოლიკოსს ექვემდებარებოდა. როგორც ჩანს, დიდ საქმეებს არჩევდა მეფე და მისი დარბაზი, მდივანბეგი დიდ საქმეებს მეფის დაუკითხავად არ განიხილავდა. მეფე თვითონ ავალებდა მდივანბეგს.[15]

გვაინფეოდალურ საქართველოში მეფე რთული საქმის გასარჩევად იწვევდა დარბაზს და ასეთი საქმეები მეფის საბჭოს ანუ დარბაზს ექვემდებარებოდა. დარბაზს ძირითად შემთხვევაში მეთაურობდა მეფე, წინააღმდეგ შემთხვევაში საქმის გარჩევა ხდებოდა დარბაზში მეფის ნებართვით, მისი დასწრების გარეშე.

სასამართლო დაწესებულებაში, ანუ სამდივნო სახლში, გარკვეული დღეების განმავლობაში მოსამართლეობდა მეფე, ჩვეულებრივ კი საქმეებს აქ არჩევდა მდივანბეგი. ერეკლე მეორემ XVIII საუკუნის II ნახევარში სასამართლოს რეორგანიზაცია მოახდინა და მსაჯულთშეკრებულება დააწესა: „ახალი იყო მსაჯულთ შეკრებულობის დაწესებულება, ერკელემ რომ შემოიღო 1778 წელს“.[16]

მდივანბეგი მთელ სამეფოზე ახორციელებდა თავის უფლებებს, მაგრამ მთელ საქმეებს ის არ განიხილავდა, რადგან ეს საქმეები სხვა მოხელეებს ექვემდებარებოდა.

---

[13] საქართველოს ისტორია. ი.ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია. ნ. ბერძენიშვილი. თბ. 1946. გვ. 400-402.

[14] ქართული სამართლის ძეგლები. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. წყაროები გამოსცა ი. დოლიძემ. ტ. I. მუხლი 25. თბ. 1963. გვ. 498.

[15] ვ. მეტრეველი. ქართული სამართლის ისტორია. თბ. 2003. გვ. 398-399.

[16] საქართველოს ისტორია. ი. ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია. ნ. ბერძენიშვილი. თბ. 1946. გვ. 400-401.

სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მსხვილი საქმეები ამოღებული იყო ადგილობრივი მოხელეებისა და ფოდალების იურისდიქციისაგან, ეს საქმეები მდივანბეგს ან მეფესა და დარბაზს ექვემდებარებოდა.[17]

ე.წ დიდი საქმეების გარდა დანარჩენი საქმე ადგილობრივ ფეოდალებსა და მათ მოხელეებს ექვემდებარებოდა. 1708 წლის ნათლისმცემლის მონასტრის სიგელში წერია: გაყრა, თავის გატეხა, მკლავის მოტეხა, კბილის ჩავარდნა დედაკაცის გალახვისა და ბოზობის და სისხლის საქმე, რაც იმ სოფლებში მოხდეს ბერები გაურიგებდნენ. ყველა ჩამოთვლილი დანაშაული და აგრეთვე გაყრა ანუ სამოქალაქო სამართლის საქმე ექვემდებარება მონასტერს, რომელსაც ეკუთვნის სოფელი, ეს საქმეები ექვემდებარება ამ სოფელს, თუ ეს საქმე ამ სოფლის გარეთ არ გამოდის და დანაშაული ჩადენილია ამ სოფლის მაცხოვრებლის მიერ. ხოლო თუ საქმე მონასტრის საქმეს სცილდება, მაშინ ამ საქმეს განიხილავს მეფის მოხელე. ამდენად, გაყრის საქმე (სამოქალაქო სამართალი) და სისხლის სამართლის ისეთი საქმეები, როგორიც არის თავის გატეხა, ხელის მოტეხა, კბილის ჩამტვრევა, მრუშობა, მოურავსა და ნაცვალს ექვემდებარებოდა, მაგრამ მოურავს სოფლის გარეთ არ ჰქონდა უფლება სხვა საქმე განეხილა.[18]

---

[17] ი. სურგულაძე. სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში. ტ. 47. თბ.1952. გვ.247-249.

[18] ი. სურგულაძე. სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში. ტ. 47. თბ.1952. გვ. 248-251.

თავი II

დიკასტერიის დაარსება კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის მიერ

საეკლესიო სამართალს საქართველოს პოლიტიკური და სოციალური ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. XVIII საუკუნის II ნახევრიდან ქართულ საეკლესიო მმართველობაში ჩანს ახალი საეკლესიო ორგანო– დიკასტერია, რომელიც საეკლესიო საქმეების განხილვას ისახავდა მიზნად. ქართულ

ისტორიოგრაფიაში გავრცელებული და საყოველთაოდ აღიარებული აზრია, რომ სასულიერო ხასიათის დავებს იხილავდა სწორედ დიკასტერია.

დიკასტერიის დაარსება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის სახელს უკავშირდება, რომელმაც ეს ორგანო დაარსა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ.

მოკლედ განვიხილავ ანტონ კათოლიკოსის ბიოგრაფიას. ანტონ I 1720 წელს დაიბადა, ის ვახტანგ მეექვსის ძმის, იესესა და ერეკლე I-ის ასულის ელისაბედის ვაჟი იყო. ანტონი 18 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა. [19]

ანტონი ქართლის სამეფო ტახტის კანონიერ პრეტენდენტს წარმოადგენდა. თეიმურაზ II კახელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა, ხოლო ანტონი – მუხრანელი ბაგრატიონების. თეიმურაზი ანტონში ხედავდა ტახტის მოცილეს, მით უმეტეს, რომ თეიმურაზის უფლებებს სუსტი საფუძველი ჰქონდა ქართლის ტახტზე. მისი მეუღლე, თამარი, ვახტანგ VI-ის ასული იყო, მაგრამ ვახტანგს, ასევე მის ძმას, იესეს, ვაჟიშვილები ჰყავდათ. თეიმურაზის ძლიერ პრეტენდენტად ანტონი რჩებოდა, ამიტომ მისი თავიდან მოსაშორებლად ეძებდნენ საბაბს. ასეთ საბაბად კი გამოიყენეს მისი დაახლოება კათოლიკე მისიონერებთან, რომლის საფუძველზეც მას ბრალი წაუყენეს კათოლიკური სარწმუნოების მიღებაში. [20] თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ის მიერ 1755-1756 წლების კრებაზე მთავარი საკთხი იყო ანტონის „გაკათოლიკება“. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ყველაფერს ცილისწამებად თვლიდა.

1755 წელს ანტონი დააპატიმრეს და საკანში ჩასვეს. მან არ იცოდა მიზეზი, თუ რის გამო დააკავეს, ის მეფეს თხოვნით მიმართავს, რომ ქვეყნის დატოვების უფლება მისცეს. მეფემ და კრებამ ანტონის თხოვნა დააკმაყოფილა. კათოლიკოსმა იცოდა, რომ ის შესაძლოა რუსეთში არ შეეშვათ, თუ მას არ ექნებოდა მღვდელმთავრის წოდება, რისთვისაც ის ყველანაირ მონანიებაზე თანხმა იყო. 1756 წლის 4 აპრილს

[19] ი. ნიკოლაძე. საქართველოს ეკლესიის ისტორია. თბ. 1918. გვ. 139-140.
[20] ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ. 2009. გვ. 305-308.

გამოიცა „განჩინება“, ანტონი აღადგინეს მღვდელთმთავრის ხარისხში სამი თვის შემდეგ და მისცეს ლიტურგიის აღსრულების ნება.[21]

თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, 1763 წელს, ერეკლე მეორემ ანტონი საქართველოში დააბრუნდა და ეკლესიის საჭეთმპყრობელობა უბოძა.

ანტონ I იყო ენციკლოპედისტების სახელის პირველი შემომტანი ქართულ მწერლობაში. მან თარგმნა რუსი და ევროპელი განმანათლებლების ნაშრომები. ანტონი შეეცადა გადმოენერგა ის რეფორმები, ლიტერატურული თუ პოლიტიკური ხასიათისა, რომელიც პეტრე დიდის დროს დამკვიდრდა რუსეთში.[22]

როგორც აღვნიშნეთ, ეკლესია-მონასტრები იმუნიტეტით სარგებლობდნენ და თავიანთ სამფლობელოებში სასამართლო საქმეებს თვითონვე არჩევდნენ.

ეკლესიას ხელი მიუწვდებოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის გარკვეულ საქმეებზე მთელი სამეფოს მასშტაბით.

ეკლესიის მესვეურებს სხვადასხვაგვარად მიუწვდებოდათ ხელი სასამართლო საქმეებზე. მათ, როგორც ფეოდალებს ექვემდებარებოდა გარკვეული საქმეები, ზოგიერთი საქმე კი მხოლოდ ეკლესიის კომპეტენციაში შედიოდა.[23]

დიკასტერიის შესახებ ვრცლად საუბრობს ა. კელენჯერიძე – „ანტონის დროს და მის შემდგომ ეკლესიაშიო“, წერს ის, „საზოგადო საქმეებს არჩევს კათალიკოსის სინოდი, ან საბჭო, შემდეგ დიკასტერიად წოდებული“. დიკასტერიამ 1771 წელს ახალი სახე მიიღო, იგი იკრიბებოდა პატრიარქის პალატაში. დიკასტერიის წევრებად სასულიერო პირებთან ერთად საერონიც – მსაჯულებიც ითვლებოდნენ. სხდომებზე პატრიარქის დასწრება სავალდებულო არ იყო. საბჭოს წევრები იყვნენ მუდმივნიც და არამუდმივნიც. 1795 წლიდან როცა მაქსიმე (აფხაზეთის კათალიკოსი) გარდაიცვალა, აფხაზეთის საკათალიკოსო საქმეებსაც მცხეთის კათალიკოსის საბჭო – დიკასტერია

[21] ა. ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები. ტ. II. თბ. 2003. 248-250.
[22] ტ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1960. გვ. 192-193.
[23] ი. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ. 1952. გვ. 356-358.

არჩევდა. აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიის დიკასტერიის მიერ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საქმეების გარჩევა საეკლესიო ერთობის შესახებაც მიუთითებს – ქართული ეკლესია ფაქტობრივად ერთიანი ეკლესია იყო.[24] ა. კელენჯერიძე მიიჩნევს, რომ დიკასტერია თავის უფლებამოსილებას ავრცელებდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიაზეც.

უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ დიკასტერია როგორც საეკლესიო ორგანო სწორედ ანტონ I-ის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ჩნდება, ეს დასტურდება სწორედ დიკასტერიის საქმიანობიდან და დოკუმენტებიდან, რომლებშიც ჩანს ეს საქმიანობა, ასევე დიკასტერიის საქმიანობაზე მეტყველებს ცნობა, რომელიც შემონახულია, ეს ეხება ეპოსკოპოს დოსითეოზს, რომელსაც კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა მისწერა წერილი 1788 წელს, ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ეპისკოპოსს დამოუკიდებლად მღვდლად უკურთხებია ერთ-ერთი პირი, რის გამოც კათოლიკოს-პატრიარქი განრისხებულა: „რად ჩაიდინე ასეთი მოქმედება ან რა უფლებით გაბედე ასეთი რამ თუ მე არ ვიყავი ცოცხალი იმის უწმინდესობისგან (ანტონ I) განწესებული და იმის სიმაღლისაგან (მეფისგან) დამტკიცებული დიკასტერია ხომ იყო“.[25]

დიკასტერია სხვადასხვა დროში განსხვავებული დანიშნულების ორგანოს წარმოადგენდა.

დიკასტერია- 1. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძველ ათენში.

2. ქართლ-კახეთის სამეფოში საკათალიკოსოსთან არსებული

უმაღლესი ადმინისტრაციულ-სასამართლო ორგანო.

აშკარად ცხადია ის ფაქტი, რომ რუსეთის გავლენა ამ პერიოდში იგრძნობა და საქართველოში ინტერესი იბადება ჩრდილოელი მეზობლის არამარტო საკანონმდებლო საქმიანობისადმი, არამედ სხვა სფეროების მიმართაც. ეს კარგად ჩანს ერეკლე II-ის ქედებებიდანაც. მისი ბრძანებით, არქიმანდრიტი და თელავის

[24] ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ. 2009. გვ. 315-317.
[25] ა. ხახანაშვილი. გუჯრები. დ. დამბაშიძის გამომცემლობა. თბ. 1891. გვ. 85.

სემინარიის რექტორი გაიოსი 1784 წელს თარგმნის პეტრე I-ის „სამხედრო წესდებას“: 1. „სამხედრო ტიპიკონს“, 2. „სამხედრო არტიკულს მოკლითა განმარტებითა და სამსაჯულოთა გამომეძიებლობითა“, 3. მოკლედ გამოხატუას სამსაჯულოთა გამომეძიებლობასათ''. 4. „ეგზერციციას“ (განმზადება მარშისადმი, წოდება და თანამდებობა პოლკის მოხელეთა).[26] მნიშვნელოვანია ის , რომ მეფე ერეკლე II და ბატონიშვილები რუსეთის სახელმწიფოსადმი დიდ ინტერესს ამჟღავნებდნენ, საქართველოს მოწინავე ადამიანების თვალში პეტრე I-ის პოლიტიკა მიმბაძველ მაგალითად გახდებოდა. შესაბამისად, რუსული საკანონმდებლო საქმიანობისადმი ქართული წრის დაინტერესება ლოგიკურია. ჯერ კიდევ 1729 წელს ვახტანგ VI-ის დავალებითა და ბატონიშვილი ბაქარის დაკვეთით ითარგმნა ალექსი მიხეილის ძის ძეგლისდება. ხოლო 1760 წელს „ბრძანებითა საქართველოსა მემკვიდრისა და კახთ მეფისა ირაკლი თეიმურაზის ძისათა“ მეორედ ითარგმნა 1649 წლის სამართლის წიგნი. ამავე წელს ითარგმნა პეტრე I-ის 1720 წლის „გენერალური რეგლამენტიც“. თუმცა, უკვე 1760-იანი წლებში, როცა მიმდინარეობდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, ქართლ-კახეთში შემოსული გენერალ ტოტლებენის არასწორმა ნაბიჯებმა, ერთგვარად შეასუსტა ინტერესი ამ საკითხისადმი, თუმცა ინტერესი რუსეთთან დაახლოებაზე მაინც არ შენელებულა. აღსანიშნავია, რომ თელავის სემინარიის რექტორი გაიოს ნაცვლიშვილი 1784 წელს თარგმნის პეტრე I-ის „სამხედრო უწყებას“, ამავე ხანებში ერეკლე მეფის დავალებით მას უთარგმნია პეტრე I-ის „რეგლამენტი“ ანუ მოძღვრება სულიერისა კოლლეღიისა რომლისამებრ თანამდებობა მისი იცნობების“. ამ საკანონმდებლო აქტით იზღუდებოდა ეკლესიის დამოუკიდებლობა ხელისუფლების სასარგებლოდ, სწორედ ეს გავლენა აისახა ერეკლე II-ის მიერ საეკლესიო მმართველობის კოლეგიური ორგანოს-დიკასტერიის შემოღებისას.[27]

[26] სამართალი ბატონიშვილისა დავითისა. დ. ფურცელაძის რედაქციით. თბ. 1964. გვ. 14-15.
[27] სამართალი ბატონიშვილისა დავითისა. დ. ფურცელაძის რედაქციით. თბ. 1964. გვ. 14-16.

საქართველოში დიკასტერიის დაარსებამდე ამ ორგანოს არსებობა ძველ საბერძნეთში დასტურდება. დიკასტერიის ისტორია სწორედ ძველ საბერძნეთში იწყება.

ა) დიკასტერია ძველ საბერძნეთში.

დიკასტერია ბერძნული სიტყვაა, dica-დან მომდინარეობს და სამართალს, სასამართლო დავას ნიშნავს.[28] ნ. ჩუბინაშვილი თვლის, რომ იგი ბერძნული სიტყვაა და „სასულიერო სამსჯავროს“ ნიშნავს.[29] ტერმინი დიკასტერია არ უნდა იყოს მეცნიერების მიერ შერქმეული და ალბათ, ალბათობა დიდია იმისა, რომ ეს სახელი წყაროებში შემორჩენილი იყო.

აღსანიშნავია, რომ დიკასტერია პირველად არ გვხვდება რუსეთში. ის ანტიკურ სამყაროში არსებობდა, კერძოდ, საბერძნეთში წარმოდგენილი იყო საერო სასამართლოს სახით.

დიკასტერია (ბერძნული კანონიერი სასამართლო) იყო ჰეილეისტთა სასამართლო დანაყოფი ძველ ათენში, რომელსაც მიიჩნევენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაპრად.

დიკასტერია ერქვა მთავარ სასამართლო ადგილს, რომელიც მდებარეობდა ქალაქის მოედანზე. სახალხო მოსამართლეებს დიკასტებსა და ჰელეასტებს უწოდებდნენ. ათენის დიკასტერია გამოირჩეოდა მოსამართლეთა სიმრავლით, სხდომათა საჯაროობითა და უაპელაციო გადაწყვეტილებებით.

[28] ს. ყაუხჩიშვილი. ლათინურ-ქართული ლექსიკონი. თბ. 1961. გვ. 125.
[29] ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი. თბ. 1961. გვ. 205.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჭეშმარიტ წინაპრად მიიჩნევენ ძველ ათენში არსებულ დიკასტერიას – ჰეილეისტთა სასამართლოს, დიკასტერია ერქვა მთავარ სასამართლო ადგილს, რომელიც მდებარეობდა ქალაქის მოედანზე. [30]

არისტოტელეს ცნობით, ჰეილეია სულ შედგებოდა ხალხის მიერ არჩეული 1500 მოსამართლისგან, რომელთაგან ჩვეულებრივ საქმეებს 501 კაცი იხილავდა. განსაკუთრებით სერიოზულ საქმეებს კი იხილავდა 1000 დიკასტიანი შემადგენლობა.

გადაწყვეტილებებს იღებდნენ ფარული კენჭისყრით. საკითხი წყდებოდა უბრალო უმრავლესობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, განსასჯელი გამართლებულად ითვლებოდა.

ისტორიული წყაროებით, ჰეილეია იყო სახელმწიფოს უმაღლესი სასამართლო ორგანო და შედგებოდა 5000 ძირითადი და 1000 სათადარიგო მოსამართლისგან, რომლებსაც ირჩევდა ხალხი. ისინი 30 წელს მიღწეულები უნდა ყოფილიყვნენ. მათ ერთი წლის ვადით, კენჭისყრით ირჩევდნენ.

ჰეილეიაში ფუნქციონირებდა 10 კოლეგია- 50 ძირითადი და 1000 სათადარიგო (სახალხო მოსამართლის) შემადგენლობა. მოვალეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, მათთვის ცნობილი არ იყო, თუ როდის გამოიძახებდნენ მოვალეობის შესასრულებლად, ეს წყდებოდა კენჭისყრით, საქმის განხილვის დღეს.

სასამართლოში წარმოდგენილი იყვნენ მხარეები, რომლებიც იცავდნენ თავიანთ საპროცესო ინტერესებს ნეიტრალური სახალხო მოსამართლეების წინაშე.

ექსპერტთა მტკიცებით, სწორედ ჰეილეია იყო ნაფიც მსაჯულთა პირველი სასამართლო.

მოგვიანებით სასამართლოებს ატარებდნენ არეოპაგები, ეს ყო საბჭო, რომელიც შედგებოდა არისტოკრატიული უხუცესებისგან, რომლებიც სიცოცხლის ბოლომდე ინიშნებოდნენ ამ თანამდებობაზე.

---

[30] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 186-188.

იმ ეპოქაში მსაჯულთა სასამართლო დემოკრატიულ ინსტიტუტს წარმოადგენდა. იგი მაინც არ იყო დაზღვეული ცალკეული შეცდომისაგან. მსაჯულთა სასამართლომ ცნო დამნაშავედ უდიდესი მოაზროვნე სოკრატე და სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

რომის იმპერიის არსებობის დასრულებამდე რომში არსებობდა ტრიბუნალები, რომლის შემადგენლობაშიც მსაჯულები შედიოდნენ. მნიშვნელოვანი საქმეების განხილვა მიმდინარეობდა მსაჯულთა საბჭოს წინაშე, რომელიც შედგებოდა 100 ან 1000 ადამიანისაგან. ისინი მონაწილეობდნენ ხმის მიცემაში პირის ბრალეულობის განსაზღვრის მიზნით.

ბ) დიკასტერიის დაარსების დრო საქართველოში.

სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რა დროიდან გვხვდება საქართველოში დიკასტერია. ა. როგავას მიაჩნია, რომ დიკასტერია იხსენიება 1764 წლიდან.[31]

კათლიკოს-პატრიარქი კირიონ საძაგლიშვილი მიიჩნევს, რომ დიკასტერიის დაარსების თარიღი 1771 წელია, ის თავის შეხედულების გასამყარებლად იმოწმებს დიმიტრი ფურცელაძის მიერ საეკლესიო გუჯრებში შემოკლებით და არასწორი ინტერპრეტაციით გამოქვეყნებულ 1771 წლით დათარიღებულ ანტონ I-ის ახალ „განწესებაზე“. ამ საბუთის მიხედვით, ჩამოყალიბებულა ორგანო, რომელსაც სამართლის გარკვევაც ევალებოდა, დიკასტერიის ნაცვლად მის სახელწოდებად ჩანს „შეკრებილება მისის უწმინდესობისა ყოვლისა ზემოისა საქართველოსა პატრიარქისა“. ამ საბუთის მიხედვით შესაძლოა შეიქნა ახალი ორგანო, მაგრამ საბუთებში მისი კვალი

[31] დ. ბაგრატიონი. საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. ა. როგავას რედაქციით. თბ. 1959. გვ. 140.

არ ჩანს, შესაძლოა შემდეგ ეს ორგანო საფუძვლად დაედო სხვა განწესებას „სასულიერო შეკრებილების“ დიკასტერიად გადაკეთებასთან დაკავშირებით. [32]

საეკლესიო სასამართლოს ორგანიზაციაზე დასკვნებს აკეთებს პროფ. ი. სურგულაძე. ის აღნიშნავს, რომ ეკლესია-მონასტრები სასამართლო საქმეებს თავიანთ სამფლობელოში თვითონ არჩევდნენ. პროფესორი აღნიშნავს საეკლესიო სასამართლოს ფუნქციონირების შესახებ, თუმცა კონკრეტულად „დიკასტერიას“ ის არ ახსენებს. ი. სურგულაძე თავის ნაშრომში აღნიშნავდა, რომ 1778 წელს ქართლ-კახეთის სამეფოში სასამართლო საქმიანობაში მოხდა დიდი ცვლილება, რაც მსაჯულთშეკრებულების დაარსებაში გამოიხატა.[33] სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს სწორედ დიკასტერია, რადგან როგორც საბუთებიდან ჩანს, დიკასტერიის მოხსენიება სწორედ 1778 წლიდან ხდება.

საარქივო მასალებში არსად არ მოიძებნება ისეთი დოკუმენტი, სადაც შეიძლება დიკასტერიაზე იყოს საუბარი, 1778 წლიდან 1801 წლამდე უკვე დიკასტერია გვხვდება საბუთებში და მისი განაჩენები დასტურდება.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ დიკასტერია ანტონ I-მა გადმოიღო რუსეთიდან და ეს არის პეტრე I-ის მიერ გატარებული რეფორმის კვალი. პ. კარბელაშვილი აღნიშნავს, რომ ანტონმა I-მა დაარსა დიკასტერია (სასულიერო გამგეობა), იმგვარადვე როგორც რუსეთში იყო. ანტონ I-ის მიერ ამოქმედებული სტამბა, რომელიც რუსეთში მისი გადასახლების დროს გაუქმდა, ანტონის დაბრუნების შემდეგ კვლავ ამოქმედდა. ამ სტამბაში ანტონი ბეჭდავდა რუსულის მიხედვით შესწორებულ ქართულ საეკლესიო წიგნებს, „ანტონი დიდად ხელს უწყობდა საქართველოს რუსეთთან დაახლოებას“.[34]

---

[32] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ.1970. გვ 191-192.

[33] ი. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ. 1952. გვ. 28-29.

[34] პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელთმთავარნი. თბ. 2011. გვ. 142-143.

პ. კარბელაშვილი რუსეთის პოლიტიკის ასეთი გააქტიურების გამო ქართლ-კახეთში, ანტონ I-ს ადანაშაულებდა. 1783 წელს დადებული ტრაქტატის ძალით, ანტონი რუსეთის სინოდის წევრად აღიარეს. „ამ წინდაუხედავმა საქმემ შეარყია თავისუფლება საქართველოს 1400 წლოვანი ეკლესიისა და ნელ-ნელა დაუმორჩილა სინოდს 28 წლის განმავლობაში. ანტონ კათალიკოსი რუსეთის მადლიერი იყო, მისი მხრიდან დიდი შეცდომა იყო ქართული წიგნების სლავურ ენაზე შესწორება, რუსეთიდან მობრუნებული ანტონი მუდამ ცდაში იყო, რომ საქართველო დაეახლოვებინა რუსეთისათვის“.[35]

ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, რომ ქართულ ეკლესიას ძველთაგანვე ჰქონდა თავისი სასამართლო, თავისი ეკონომიკური პოლიტიკა, ჰყავდა საკუთარი ჯარი, ამასთან, „მოეპოვებოდა სახელმწიფო მართვა-გამგეობის წესებზე მოწყობილი მოხელეობა, და ამიტომ ბევრის თქმით სახელმწიფოებრივი სხეულის თვისებები ეტყობოდა“. ის აღნიშნავს, რომ „ ქართული საეკლესიო სამართალი შინაარსით კი არ იყო საეკლესიო, არამედ წარმომდინარეობით. ამ მხრივ, ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიას მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიას, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს, იმგვარადვე, როგორც ქართული ეკლესია თავისი წესწყობილებით, ბევრი თვისებებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს“. [36]

ქართლ-კახეთის სამეფოში სამართლის დარგი გამოეყო მმართველობის საერთო სისტემას. დიკასტერიის დაარსებამდეც სასამართლო ფუნქცია მონასტრებისა შეუზღუდველი იყო. მდივანბეგი ამ შემთხვევაში მონასტრებისა საქმიანობაში არ ერეოდა. ეკლესია-მონასტრები იმუნიტეტით სარგებლობდნენ და თავიანთ

[35] პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელთმთავარნი. თბ. 2011. გვ. 187.

[36] ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. ტ. I. თბ. 1928. გვ. 18-19.

სამფლობელოში საქმეებს თვითონვე არჩევდნენ. მთელი სამეფოს მასშტაბით ეკლესიას ხელი მიუწვდებოდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

მსხვილი საქმეების გარჩევა ეკლესიის იურისდიქციას ექვემდებარებოდა. თვითონ არჩევდა კათოლიკოსი ან მისი ხელმძღვანელობით ირჩეოდა, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვან, მაგრამ საეკლესიო სასამართლოს განსაკუთრებული კომპეტენციის საქმეს, არჩევდა ეპისკოპოსი ან მოძღვარი.

დიკასტერია წარმოადგენდა კოლეგიურ ორგანოს, რომელსაც „დიკასტერიის შეკრებულებასაც“ უწოდებდნენ. [37]

გ) დიკასტერიის შემადგენლობა.

რაც შეეხება დიკასტერიის შემადგენლობას, როგორც ცნობილია პირველადი საბუთების მიხედვით, 1801 წლამდე დიკასტერიის წევრები იყვნენ:

1. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ I.
2. კათალიკოს-პატრიარქი ანტონ II.
3. სამთავროსა და გორის მთავარეპისკოპოსი ბესარიონი.
4. მთავარეპისკოპოსი პაისიოსი.
5. რუისის მიტროპოლიტი იოანე.
6. ტფილელ მიტროპოლიტი გერმანე.
7. ნინოწმინდელი მიტროპოლიტი მიხეილი.
8. მცხეთის დაუჯდომლის არქიმანდრიტი სტეფანე.
9. რუისის მიტროპოლიტი ნიკოლოზი.
10. სვეტიცხოვლისა და კარის ეკლესიის დეკანოზი ნიკოლოზი.
11. მანგლისის ეპისკოპოსი ნიკოლოზი.

[37] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Ad-1504.

12. წილკნისა და მუხრანის ეპისკოპოსი.

13. ანჩისხატის დეკანოზი სოლომონი.

14. მღვდელი გიორგი.

დიკასტერიის შემადგენლობაზე ცნობებს გვაწვდის მ. კეკელია. იგი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით დეტალურად განიხილავს და ჩამოთვლის იმ საეკლესიო პირებს, რომლებიც შედიოდნენ დიკასტერიის შემადგენლობაში 23 წლის განმავლობაში. ანტონ პირველი შეუცვლია ანტონ მეორეს, რუისის მიტროპოლიტი იოანე-ნიკოლოზს, მთავარეპისკოპოსი ბესარიონი-პაისიოსს. [38]

დიკასტერია საქმეს იხილავდა თავის მუდმივ რეზიდენციაში, რომელიც კათალიკოსის სამუშაო ადგილთან არსებობდა. საკითხის განხილვის დროს წევრების რაოდენობა სამი კაცით განისაზღვრებოდა, ზოგჯერ კი ხუთ კაცამდე აღწევდა. დიკასტერიას სხდომის დროს ყოველთვის თავმჯდომარეობდა სასულიერო რანგით ყველაზე მაღლა მდგომი პირი, იერარქიულად ისინი ასე იყვნენ წარმოდგენილი: კათალიკოსი, მთავარეპისკოპოსი, ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, არქიმანდრიტი, დეკანოზი და მღვდელი.[39]

სადავო საქმეების განხილვის დროს კათოლიკოსი დიკასტერიის შემადგენლობაში იშვიათად ჩანს. კათოლიკოსი დიკასტერიას ავალებდა საქმის გარჩევას, ბოლოს კი მათ მიერ გამოტანილ განაჩენებს ამტკიცებდა.

დიკასტერიის შემადგენლობაში აღნიშნულია მღვდელიც, რომელიც 1784 წლიდან ჩანს დიკასტერიის წევრად.

---

[38] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 192-193.

[39] იქვე. გვ. 193-194.

დიკასტერიას ასევე მდივანი ჰყავდა, ის „მწიგნობარ-წინამძღვრად“ იწოდებოდა. მწიგნობარ-წინამძღვარი თითქმის დიკასტერიის ყველა განჩინებაში იხსენიება. 1801 წლამდე არსებულ საბუთებში მხოლოდ ორი მდივანი ჩანს: დავითი და ტრიფილე.[40]

თელავის სემინარიის მეორე და უკანასკნელი რექტორი იყო ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწე, ცნობილი მწერალი დავით ალექსიშვილი – მესხიშვილი. იგი 1790 წელს დაინიშნა რექტორად.[41]

დავითმა ანტონ კათალიკოსის დავალებით კარგი განათლება მიიღო, იოანე ბატონიშვილი მის შესახებ აღნიშნავდა: დავითი „არს გონება – მკვეთრი და კარგი მეხსიერი, მწერალი მშვენიერი, ესე არს უცხო ისტორიკოსი ძველთა და ახალთა მოთხრობათა, რომელიცა ქებულ არს ერთა ჩვენთაგან“.

საყოველთაო აღიარების შედეგად დავითი ანტონის მიერ დაარსებულ საეკლესიო მართლმსაჯულების ორგანოში-დიკასტერიაში შეყვანილ იქნა წევრად და ჯამაგირიც დაენიშნა.[42]

რაც შეეხება მეორე მწიგნობარ-წინამძღვარ ტრიფილეს, ერთ-ერთი საბუთის მიხედვით, ნეკრესელს ბრალი დაუდია ტრიფილესთვის, რომ ის უსწოროდ „მწიგნობარ უხუცესად“ იწერება, ტრიფილე მას პასუხობს, რომ: „მწიგნობართ უხუცესობით არას დროს არავისთვის მიმიწერია წიგნი და არც ვარ. მწიგნობარ-წინამძღუარს ვიწერები და ვარცა მადლითა თქვენითა“.[43]

როგორც საბუთებიდან ირკვევა, ტრიფილე, როგორც მწიგნობარ-წინამძღვარი არ შედის დიკასტერიის შემადგენლონაში, ის შემდეგ ამაღლდა ამ წოდებამდე.

---

[40] იქვე. გვ. 194-196.

[41] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Qd-1067.

[42] ლ.მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. თბ. 1962. გვ. 370-371.

[43] ა. ხახანაშვილი. გუჯრები. დ. დამბაშიძის გამომცემლობა. თბ. 1891. გვ. 82.

მწიგნობარ-წინამძღვარი დიკასტერიის წევრი არ იყო, მაგრამ მაინც შედიოდა სასამართლოს შემადგენლობაში.[44]

ტ. რუხაძეს აქვს მოსაზრება დიკასტერიის წევრების დანიშვნასთან დაკავშირებით, საინტერესოა ის ფაქტი, რომ იურიდიულ წიგნთა დიდი ნაწილი მეფე ერეკლეს დავალებით ითარგმნა ქართულად. მის დროსვე შეიქმნა დიკასტერია, უმაღლესი სასულიერო ხელისუფლება. პეტრე პირველის კანონით დიკასტერიის წევრებს მეფე ნიშნავდა, საქართველოს დიკასტერიაში ერეკლე მეორის ბრძანებით ინიშნებოდნენ წევრები.[45] ეს მოსაზრება არ უნდა იყოს მართებული, რადგან როგორც ირკვევა, დიკასტერია კათალიკოსის მიერ, მისი ინიციატივით დაარსდა და წევრების დანიშვნა მეფის კომპეტენციში არ უნდა ყოფილიყო, რუსეთის დიკასტერიისაგან განსხვავებით, ქართული დიკასტერია მეფის დაქვემდებარებაში არ ყოფილა.

თავი III

დიკასტერია, როგორც საეკლესიო საქმეების განმხილველი ორგანო XVIII საუკუნის II ნახევარში.

დიკასტერიის სამართლის წყაროს წარმოადგენდა : მსოფლიო საეკლესიო კრებათა დადგენილებანი; ადგილობრივი ხასიათის საეკლესიო კრებათა

[44] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 195.

[45] ტ. რუხაძე. ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1960. გვ. 252.

დადგენილებანი; კათალიკოსის ეპისტოლენი; სახარება; ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნთა კრებული.[46]

ვახტანგის სამართლის ძირითად წყაროს ჩვეულებითი სამართალი წარმოადგენდა.

პროფესორი ა. ვაჩეიშვილი ასკვნის, რომ სასულიერო სასამართლოები მართალია სამოქალაქო ხასიათის კოდექსებით სარგებლობდნენ, მაგრამ ამასთან ერთად გავლენასაც ახდენდნენ საერო სასამართლოზე. ეს ჩანს ბექა აღბუღას კანონის 161; 169 მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ საეკლესიო ხასიათის სანქციები – წყევლა-კრულვა იყო გათვალისწინებული სისხლის დაურვებაზე.[47] ამ მუხლებით მრავალგვარი დანაშაულია გათვალისწინებული: მკვლელობა, ცემა და ა.შ მაგალითისთვის, 161 მუხლის თანახმად: „ რომელმანც ვინც გინდა დიდმან ანუ მცირემან კაცმან ღამატათ ძმა მოჰკლას ანუ ღალატით სხვა კაცი კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყავნ დაუსაბამოსა ღუთისა პირითა“, ან 165 მუხლი : „ რომელმან კაცმან ცოლი წაუღოს და მოსტაცოს, სრული სისხლი დაუურვოს, რისაც გვარისა იყოს, კრულ და წყეულ და შეჩვენებლ პირითა ღუთისათა და კანონსამც ქვეშ იქმნების წმინდათა მოციქულთასა“.[48]

როგორც აღნიშნულია, დიკასტერია არამარტო სასამართლო ფუნქციის მატარებელი ორგანო იყო, არამედ ზოგადად საეკლესიო საქმეებს განიხილავდა. კერძოდ, ერთ-ერთი საბუთი არსებობს, რომელიც სადავო საქმის განხილვასთან არ არის დაკავშირებული, ეს არის „ბრძანება დიკასტერიისა ნოდარ ჩოფიკაშვილისადმი ახმეტის ეკლესიაში ალავერდელის მოხსენიების შესახებ“, ბრძანება დიკასტერიის მიერ დაწერილია 1788 წლის მაისში.[49] დიკასტერია მებატონე ჩოფიკაშვილს სწერდა, რომ ახმეტის ეკლესიაში წირვის დროს კათალიკოსი იხსენიებოდა და არა ალავერდელი: „ალავერდის ეკლესიაში შენს თავად მღვდელს მიიყვან და დაადგენ და ამბობთ, რომ

[46] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 200-201.
[47] იქვე. გვ. 202-204.
[48] ა. ვაჩეიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიისა. ტ. I. თბ. 1946. გვ. 28-29.
[49] ქართული სამართლის ძეგლები. წყაროები გამოსცა ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970. გვ. 1056-1057.

ალავერდელის ეკლესია კათალიკოსისა არისო და ალავერდელის ნაცვლად კათალიკოსს იხსენიებთო“, დიკასტერიის წევრები მუქარაშერეული ტონით აფრთხილებდა მებატონეს, რომ ასეთ საქმეებში არ ჩარეულიყო, თორემ „კანონითა მამამათა დია მძიმედ დაისჯები, ახლა კი დაგვიდუმებია, რადგან უგუნურებით და უცოდინარობით მოგსვლია“.[50] საბუთს ხელს აწერდა მიტროპოლიტი გერმანე, ხუცეს-მონაზონი, მწიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე, სვეტიცხოვლის დეკანოზი ნიკოლოზი.[51]

დიკასტერია საეკლესიო საქმეების განხილვასთან ერთად თვალყურს ადევნებდა ეკლესიაში შექმნილ მდგომარეობას, ეს ჩანს კიდევ ერთი საბუთიდან, რომელიც არის ტრიფილე წინამძღვრის მიერ მიწერილი დოსითეოს ნეკრესელისადმი სვეტიცხოვლის სამწყსოს თაობაზე: „დიდი ხნის განწესება არის კახეთისა და მეფეთაგან ძველადვე გუჯრებით დამტკიცებული, რომ რომელიც სოფელი საკუთარი ყმა და მამული არს კახეთში სვეტიცხოვლისა, სამწყსოც სვეტიცხოვლისა არს, ასე რომ სხვა ეპისკოპოსი ვერ შეეცილება“.[52] ამ შემთხვევაში დიკასტერიის წევრები ერთგვარ გაფრთხილებას აძლევენ სასულიერო პირებს, რომ კათალიკოსის ყმები კათოლიკოსის ხუცებს უნდა ებაროს და არა მისას, რისთვისაც ავალებს, რომ გადასცენ ისინი მათ.[53]

დიკასტერია რომ ღალის აკრეფაზე ბრძანებას იძლევა, ეს ჩანს ერთ-ერთი საბუთიდან, რომელიც 1778 წელს არის შედგენილი, საბუთიდან ჩანს, დიკასტერია როგორ აფრთხილებს, გამოართვან ღალა ყველას და მღვდელს გადასცენ, წინააღმდეგ შემთხვევაში „რომელთაც არ მოსცეს, ჩვენგან შეუნდობელი არის“. [54]

ეკლესია-მონასტრების მმართველი პირები არა მარტო მათ უწყებაში შემავალი პირების საქმეს განიხილავდნენ, არამედ უფრო დაბალი პირების გასამართლების საქმესა და დასჯას. ასეთ შემთხვევებში საერო პირები და მდივანბეგები ამ საქმეში არ

---

[50] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Ad-859.

[51] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 195-196.

[52] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Ad-839.

[53] ქართული სამართლის ძეგლები. წყაროები გამოსცა ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970. გვ. 955-956.

[54] იქვე. გვ. 922.

ერეოდნენ, მათ სამღვდელოების დასჯის უფლება არ ჰქონდათ. ეს საქმე მხოლოდ დიკასტერიას ეხებოდა. გარდა მსაჯულთშეკრებულებისა, დიკასტერია იხილავდა ისეთ საქმეს, სადაც ერთ-ერთი მონაწილე იყო საერო პირი. ამას ამტკიცებს 1781 წლის განაჩენიც: მდივანბეგები ასამართლებდნენ სხვადასხვა პირების სახლებზე დავას, ამ საქმეში მონაწილე ერთ-ერთი პირი მღვდელიც იყო: „ მის უწმინდესობას მოვახსენეთ, რადგან მღვდელი იყო და ეს უსამართლობა შევჩივლეთ, დიაკსტერიას უბრძანა და მათ მოგვიწოდეს, განიხილეს, მიქელ მღვდელი დატუქსეს, განაჩენი გვიბოძეს და იოანე მივანიც შედგომილად და დამნაშავედ აღმოაჩინესო“.[55]

გვინფეოდალურ საქართველოში დიდ ფეოდალებს ჰქონდათ საკუთარი ეკლესიები, ამ ეკლესიის მღვდლები მათ ყმებად ითვლებოდნენ. იმ შემთხვევაში, თუ სასულიერო პირები რაიმე დანაშაულს ჩაიდენდნენ, ფეოდალებს არ ჰქონდათ უფლება, რომ ისინი გაესამართლებინათ. დადგენილი იყო წესი, რომ სასულიერო წოდების წარმომადგენელთა საქმე დიკასტერიის მიერ განხილულიყო.[56]

ფეოდალურ საზოგადოებაში ეკლესია-მონასტრებს თავანთი ყმების გასამართლებისა და დასჯის უფლება ჰქონდათ.

ყმების საკუთრების საკითხს რომ დიკასტერია განიხილავდა, ეს კიდევ ჩანს ერთი საბუთიდან, რომელიც შედგენილია 1797 წელს, საბუთიდან ირკვევა, რომ უწმინდესობის ბრძანებით საქმეს განიხილავს დიკასტერია. დიკასტერია სწერს დოსითეოს ნეკრესელს: „ თქვენს ყოვლად სამღვდელოებას დია კარგად მოეხსენება, რომ რაც კათოლიკოსს კახეთში საკუთარი ყმები ჰყავს, სამწყსოც კათალიკოსისა არის და ხუცესიც კათოლიკოსისა უნდა ხუცობდეს“.[57]

დიკასტერია აგრეთვე განიხილავდა საეკლესიო პირების მიერ ჩადენილ არასწორ და გაუმართლებელ საქმეებს. იმ შემთხვევაშიც, თუ ცალკეულ პირთა გამგებლობაში

---

[55] მ. ლეკვეიშვილი. მდივანბეგების ინსტიტუტი გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში. დისერტაცია. თბ. 1953. გვ. 131.
[56] იქვე. გვ. 118-120.
[57] ქართული სამართლის ძეგლები. წყაროები გამოსცა ი. დოლიძემ. ტ. V. თბ. 1974. გვ. 924-925.

მყოფი ეკლესიის მღვდელი ყოფილიყო, ამ საქმის განხილვა მაინც დიკასტერიას ევალებოდა. მაგალითისთვის გამოდგება 1780 წელს შედგენილი განჩინება იოანე ავალიშვილის შეურაცხყოფის საქმეზე. საბუთიდან ირკვევა, რომ ავალიშვილი, მის ყმას, მღვდელ ლაზარეს გაულანძღია და შეუფერებელი სიტყვებით მიუმართავს მისთვის: „შენი სისხლი მწყურია და მინდა დავლიოო“.[58] ეს საქმე განიხილეს დიკასტერიაში. კრების დადგენილებით, მღვდელს სამღვდელოების საქმეები ჩამოართვეს.

ეკლესია-მონასტრებს მათდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების შიგნით სამოქალაქო საქმეების გარდა სისხლის სამართლის საქმეების განხილვის უფლებაც ჰქონდათ. სისხლის სამართლის დარგიდან მთელი რიგი საქმეები მონასტრის სასამართლოებს ექვემდებარებოდა იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხებოდა მონასტრისადმი მიკუთვნებულ სოფელს. ხოლო იმ შემთხევაში, თუ ამ საქმეში „გარეშე კაცი“ იყო გარეული, საქმის განხილვას მეფის მოსამართლე ანუ მდივანბეგი აწარმოებდა.[59] როგორც ირკვევა, მდივანბეგებს ეკლესიის ყმებსა და მამულებზე მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუწვდებოდათ ხელი და სასამართლო პროცესში მონაწილებდნენ, თუ განსახილველ საკითხში ერთ-ერთი მხარე საერო წარმომადგენელი იყო. დიკასტერია კი, თავის მხრივ, არ იხილავდა საქმეს, თუ ერთ-ერთი წარმომადგენელი საერო წოდებას მიეკუთვნებოდა. ამ შემთხვევაში მდივანბეგების იურისდიქციაც ვრცელდებოდა, მაგრამ მდივანბეგებს სამღვდელოების წარმომადგენლებისათვის სასჯელის დადების უფლება არ ჰქონდათ. როგორც საბუთებიდან ირკვევა, საერო და სასულიერო პირებს შორის დავის გადაჭრას საერო და სასულიერო მოსამართლეები ახდენდნენ ერთობლივად. [60]

---

[58] იქვე. გვ. 934-935.

[59] ი. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ. 1952. გვ. 191-193.

[60] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 202-203.

იყო შემთხვევები, როდესაც საეკლესიო საქმეს მეფისა და კათალიკოსის დავალებით მდივანბეგი განიხილავდა. მაგრამ ეს ხდებოდა იშვიათ შემთხვევაში. ურბნისის ეკლესიის 1776 წლის საბუთში მოთხრობილია, რომ სარდალ-მდივანბეგი ამილახვარი, მეფისა და კათალიკოსის ბრძანებით არჩევდა ურბნელი იუსტინეს საჩივარს ეკლესიის ყმების მიმართ, ეკლესიისთვის საჭირო სამსახურის შეუსრულებლობაზე და ღალას მიუცემლობაზე.[61]

საბუთებში არ ჩანს ისეთი შემთხვევა, რომ მდივანბეგებს თავიანთი ინიციატივით გადაეგზავნოთ საჩივარი დიკასტერიისათვის, ისინი მოქმედებდნენ მეფის მითითებებით. მდივანბეგთა სასამართლო ყოველთვის იჩენდა სიფრთხილეს და ცდილობდა ისეთი საქმის გარჩევისაგან თავი შორს დაეჭირა, როცა სასულიერო პირსა და საერო პირს შორის იყო დავა. [62]

გვიანფეოდალურ საქართველოში ორგვარი სასამართლო არსებობდა: საერო და სასულიერო. სასულიერო სასამართლო იგივე დიკასტერიაა, რომლის წევრებსაც „სულიერ მსაჯულებსაც“ უწოდებდნენ. ხოლო საერო სასამართლო წარმოდგენილი იყო მდივანბეგების სასამართლოს სახით, რომელთაც „ხორციელ მსაჯულთა“ სასამართლოს სახელით იხსენიებდნენ.[63]

კათალიკოსის სასამართლოსადმი დაქვემდებარებულ საქმეებში სასულიერო პირების საქმეებთან ერთად საერო პირების დანაშაულიც შედიოდა. კათოლიკოსის სასამართლო განიხილავდა ე. წ „რჯულგარდამავალი“ დანაშაულის საქმეებსაც, ეს ვახტანგის სამართლის წიგნშიც არის მითითებული: „სატანჯველ სიკვდილში და რჯულის გარდამავალ საქმეში კათალიკოსს აქვს ხელი“.

---

[61] მ. ლეკვეიშვილი. მდივანბეგების ინსტიტუტი გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში. დისერტაცია. თბ. 1953. გვ.136.

[62] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 203-204.

[63] იქვე. გვ.138.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, შვილის მიერ მამის მოკვლა ან პირიქით, „რჯულგარდამავალ“ დანაშაულად ითვლებოდა. კათალიკოსი მეფესთან ერთად განიხილავდა ისეთ საქმეებს, როგორიც იყო „ცოლის გაყიდვა“, „ხატისა და ჯვრის გატეხვა“, „ხელმწიფის სალაროს გატეხვა“, სასულიერო სასამართლოს უნდა განეხილა ასევე სქესობრივი გარყვნილების დანაშაულიც.[64]

როგორც ირკვევა, დიკასტერიის საქმიანობაში შედიოდა საოჯახო სამართლის საკითხების განხილვაც. ასეთი საკითხი იყო მაგალითად განქორწინების საქმე.

საეკლესიო სამართლის იურისდიქციაში შედიოდა გაყრის საქმე, ეს ჩანს 1775 წლის საბუთიდან, რომელიც წარმოადგენს მეზრუხიძის ახსნა-განმარტებით წერილს ნეკრესელისადმი: „ ეს წიგნი მოგართვი მე გიორგი იმერელმა მეზრუხიძემ რაჭველმა, თქვენ ყოვლად სამღვდელოს დოსითეოს ნეკრესელს. თქვენ მოგეხსენებათ ცოლი გაუშვი, მაგრამ ბოზობის მიზეზით გავუშვი, თუ სხვა მიზეზით გაუშვი და ბოზობის მიზეზით არ გამეშვას, ქრისტეს წინ შენ პასუხი მოგცე“. [65] ამ საბუთიდან ჩანს, რომ გაყრის საქმე ექვემდებარებოდა საეკლესიო ხელისუფლებას.[66] უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში სიტყვა „დიკასტერია“ არ იხსენიება, გაყრისთვის გარკვეული საფუძვლები იყო საჭირო, როგორც ამ საბუთიდან ჩანს, ცოლის მრუშობა შეიძლებოდა გაყრის კანონიერი მიზეზი ყოფილიყო. ამასთან გაყრის საქმე საეკლესიო ხელისუფლებას ექვემდებარებოდა. როგორც ცნობილია, დავით ბატონიშვილის უარი უთხრეს განქორწინებაზე, რადგან სერიოზული მიზეზები არ ჰქონდა, მისი განქორწინების საქმე ანტონ მეორემ გაარჩია, მაგრამ საფუძვლების უქონლობის გამო მას უარი უთხრეს გაყრაზე.[67]

საეკლესიო ხელისუფლება საერო ხელისუფლებასთან ერთადაც არჩევდა გაყრის საქმეებს, ეს ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ გაყრის საფუძველი ავადმყოფობა იყო.

---

[64] ი. სურგულაძე. ქართული სამართლის ისტორიის წყაროები. თბ.1984. გვ. 105-106.
[65] ა. ხახანაშვილი. გუჯრები. დ. დამბაშიძის გამომცემლობა. თბ. 1891. გვ. 47-48.
[66] ი. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. თბ. 1952. გვ. 357-358.
[67] პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას რედაქციით. თბ. 1936. გვ. 138-139.

ასევე მათ საერთო კომპეტენციაში შედიოდა: ქმრის მიერ ცოლის წვალების საქმე, შვილებსა და მშობლებს შორის მკვლელობის საქმე, ყმის მოკვლა ან დასახიჩრება, სხვისი ცოლის მოტაცეა და გაყიდვა და ა.შ [68]

ქორწინების გარეშე სქესობრივი კავშირი დანაშაულად ითვლებოდა და ეს საქმე „ეპისკოპოსსა და მოძღვარს“ ექვემდებარებოდა.

დიკასტერია განიხილავდა უკანონო ქორწინებისა და ხელდასხმის საქმეებს. დიკასტერიის მიერ არის შედგენილი 1784 წლის 1 ნოემბრის უწყება. დიკასტერია აცნობებს ეპისკოპოს დოსითეოს ნეკრესელს, რომ: „სამოციქულოთა კანონთა გარდამავალნი იმერელნი და სხუანი უცხოს ქუეყნიდამ გარდმოცვივნულ იქ თავიანთ ქუეყანას სჯულიერს მეუღლის და შვილებს უშებენ, აქ ჩვენს ქვეყანაში სხვას ცოლს ირთვენ, მღვდლებს ატყუებენ და ჯვარს იწერენ“.[69] დიკასტერია ასეთ შემთხვევაში სამღვდელოებას აფრთხილებს, რომ ჯვარი არ დასწერონ ასეთ პირებს, ეს საქმე მათ უნდა შეათანხმონ დიკასტერიასთან. ამ საბუთის ბოლოში მითითებულია დიკასტერიის წევრები, რომლებიც განჩინებას ხელს აწერენ: მდაბალი მთავარეპისკოპოსი ბესარიონი. ტფილელ მიტროპოლიტი გერმანე, მცხეთის არხიმანდრიტი სტეფანე და მწიგნობარ წინამძღვარი ტრიფილე.[70] სამღვდელოების ეს პირები იმ პირთა 14 კაციან სიაში შედის, რომელთა შემადგენლობითაც დიკასტერიაში საქმეები განიხილებოდა.

დიკასტერია განიხილავდა ასევე ცოლ-ქმრის ღალატის საქმეებს. „ რომელ ჟამსა ქორწინებისასა იჩივლოს ვინმე, უგუნურებისა გამო, ცოლისა არა ქალწულებაი. უკეთუ დამტკიცდეს, იგი მსაჯულთა მიერ წარიგზავნოს დიკასტერიასა შინა და მებრ სჯულის კანონისა ესაჯოს მათ. ხოლო უკეთუ როსკიპ არს , აშინ დამოკიდებულ არს სჯა დიკასტირიასა ზედა“.[71]

---

[68] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 208-210.

[69] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Ad-829.

[70] ქართული სამართლის ძეგლები. წყაროები გამოსცა ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970. გვ. 976-977.

[71] სამართალი ბატონიშვილისა დავითისა. დ. ფურცელაძის რედაქციით. თბ. 1964. გვ.125.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, დიკასტერია ზრუნავდა იმისათვის, რომ სარწმუნოება დაცული ყოფილიყო. ეს კარგად ჩანს 1788 წლის 15 დეკემბრის საბუთში. ეს არის ბრძანება დიკასტერიისა იოანე ნინოწმინდელისადმი მის სამწყსოში გრძნეულთა და მკითხვათა ძებნის თაობაზე. საბუთში აღნიშნულია, რომ „მეფისა და კათალიკოსის ბრძანება არის, რომ თქვენი ეპარხიის ხუცებს უბრძანეთ, რომლისა სამწყსოში ჯადოქრები, მკითხავნი, მექიარენი და გრძნეულნი და ამგვარი საქმის მოქმედნი იპოვებიან, მოიკითხონ და წერილით მოგახსენონ“. [72] საბუთში ასევე მითითებული იყო, რომ თუ ხუცესი ასეთ საქმეებს დამალავდა, დიკასტერია მას სამღვდელოებიდან განკვეთავდა. საბუთს ხელს აწერდნენ: ტფილისის მიტროპოლიტი გერმანე, სვეტიცხოვლის დეკანოზი ნიკოლოზი, მწიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე.[73]

დიკასტერიის საქმიანობა რომ მხოლოდ სასამართლო ხასიათის საქმეების გარჩევით არ ამოიწურებოდა ჩანს კიდევ ერთი საბუთიდან ეს არის 1797 წლის 26 მარტის ბრძანება დიკასტერიისა, დოსითეოს ნეკრესელისადმი. საბუთში აღნიშნულია, რომ კათოლიკოსის ყმები კათოლიკოსის ხუცებს უნდა ებაროს და არა მისას. „რაც კათალიკოსს კახეთში საკუთარი ყმები ჰყავს, სამწყსოც კათოლიკოსისა არის და ხუცესიც კათოლიკოსისა უნდა ხუცობდეს“.[74] ამ საბუთში იხსენიებიან მთავარეპისკოპოსი ბესარიონი, ტფილელი მიტროპოლიტი გერმანე, არქიმანდრიტი სტეფანე და მწიგნობარ-წინამძღვარი ტრიფილე.[75]

დიკასტერია მხოლოდ მომჩივანთა საქმის განხილვით არ შემოიფარგლებოდა, ამასთან ერთად იგი თვალყურს ადევნებდა კათოლიკოსის მთელ სამწყსოში შექმნილ მდგომარეობას, რათა სარწმუნოება არ შელახულიყო. იგი სწავლოდა

[72] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Ad-168.
[73] ქართული სამართლის ძეგლები. ი. დოლიძის გამომცემლობა. ტ. III. თბ. 1970. გვ. 1062.
[74] კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. Ad-839.
[75] ქართული სამართლის ძეგლები. წყაროები გამოსცა ი. დოლიძემ. ტ. III. თბ. 1970. გვ. 1036.

„სჯულგარდამავალ“ დარღვევათა წარმოშობის მიზეზებს და საჭიროების შემთხვევაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ ცნობებს აწვდიდა მეფესა და კათოლიკოსს. [76]

არსებული მასალების საფუძველზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დიკასტერია თავის საქმიანობას მხოლოდ ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე ავრცელებდა. ეს ჩანს საბუთებიდან, სადაც მითითებულია მოდავე მხარეები და მათი ტერიტორიული საზღვრები, რომლებიც ემთხვევა კათოლიკოსის სამწყსოს.

დიკასტერია ყველა საქმეს განიხილავდა, დავას ეკლესია-მონასტრებს შორის, ეკლესია-მონასტრების ყმათა ქონების ხელყოფის საკითხებს, ეკლესია-მონასტრების საჩივრებს მიწებისა და ყმების მიმტაცებელთა წინააღმდეგ, სასულიერო პირების მიერ ჩადენილ უღირს საქციელს, მათ დანაშაულებებს, შვილად აყვანისა და განქორწინების საკითხებს, უკანონო ქორწინებასთან დაკავშირებულ საქმეებს, დავებს ოჯახის წევრეს შორის.[77]

უშუალოდ დიკასტერიის მუშაობაში კათალიკოსი იშვიათად მონაწილეობდა. მაგრამ საქმის განაჩენებსა და გადაწყვეტილებებს თვითონ ამტკიცებდა. საქმის განხილვისას ძირითადად სამი წევრი იღებდა მონაწილეობას, იშვიათად კი ხუთი წევრი. კრებას ყველაზე მაღალი რანგის სასულიერო პირი ხელმძღვანელობდა.[78]

ეკლესია-მონასტრებსა და მათ მმართველ პირებს საერო პირებთან შედარებით გააჩნდათ პრივილეგიები. მათ გარკვეული იმუნიტეტი გააჩნდათ მათდამი დაქვემდებარებული ყმების მიმართ. სწორედ კათალიკოსი არჩევდა და წყვეტდა ყველა სასულიერო პირის საქმეს. სასულიერო პირის დასჯის საქმე დიკასტერიის კომპეტენციაში შედიოდა.

თავი IV

[76] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ 196.

[77] ვ. მეტრეველი. ქართული სამართლის ისტორია. თბ. 2009. გვ. 404-405.

[78] იქვე. გვ. 402-403.

დიკასტერია იოანე და დავით ბატონიშვილების კანონპროექტების მიხედვით.

საქართველოს საეკლესიო სამართლის ისტორიისათვის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს იოანე ბაგრატიონის „სჯულდება“, ეს არის ქართლ-კახეთის სახელმწიფოს ფორმირების პროექტი, რომელიც იოანე ბატონიშვილმა წარუდგინა გიორგი მეთორმეტეს 1799 წელს. ამ პროექტით მისი მიზანი იყო სახლმწიფო ხელისუფლების გაძლიერება და ფეოდალების თვითნებობის ალაგმვა. ამ პროექტში გვხვდება სხვადასხვა მოსაზრებები საქართველოს ეკლესიის უმაღლესი სამმართველოს ორგანოს – დიკასტერიის შესახებ. იოანე ბაგრატიონი თავის პროექტში ხაზს უსვამს დიკასტერიის საქმიანობას, აქედან ნათლად ჩანს, რომ დიკასტერია მხოლოდ სასამართლო საქმეებით არ შემოიფარგლებოდა და ის საეკლესიო ხასიათის დავებს განიხილავდა. პროექტში წერია: „ ყოველი სასულიერო საქმე და სამართალი ამათ მიერ (დიკასტერია) განიხილებოდეს“.[79] პროექტში აღნიშნულია სამმართველო ორგანოს – დიკასტერიის შესახებ, ასევე ეკლესიის მეთაური კათალიკოსის, ეკლესიებში „საქვეყნო საქმეთა განცხადების“, ქართველ მეფეთა მიერ თავიანთ კათედრებზე „ეპისკოპოსთა დასმის“, „სამღვდელო წესდებისა“ და სხვათა შესახებ. ეს პროექტი იოანე ბატონიშვილს 1799 წელს წარუდგენია მეფე გიორგი მეთორმეტესთვის. იოანე ბაგრატიონის „სჯულდების“ ტექსტის გამომცემელი ივანე სურგულაძე თვლის, რომ ეს პროექტი „საკანონმდებლო აქტი“ არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, მას გარკვეული გავლენა მაინც მოუხდენია საეკლესიო მმართველობაზე და ეს ნათლად აისახა შემდგომში ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ქართულ ეკლესიაზე. პროექტში ბატონიშვილს გადმოცემული აქვს

[79] ი. ბაგრატიონი. სჯულდება. ი. სურგულაძის რედაქციით. თბ. 1957. გვ. 25-26.

დიკასტერიის საქმიანობა, რაც აისახა ქართულ ეკლესიაში ავტოკეფალიის აღდგენის დროისათვის. პროექტში აღნიშნულია, რომ დიკასტერიის წევრნი იყვნენ: 1.კათალიკოსი, 2. ტფილელი, 3. ორი არქიმანდრიტი, 4. ორი დეკანოზი, 5. მეფის მოძღვარი, 6. მეფისაგან მიჩენილი თავადი, სასულიეროს მთავარი, 7. სამნი მწერალნი. ესე ყოველნი შეკრბებოდნენ კვირაში ორჯერ ორშაბათსა და პარასკევს და ყოველი სასულიერო საქმე და სამართალი ამათ მიერ განიხილებოდეს. აგრეთვე ესენი თუ რაოდენნი გარდაიცვლებიან, ყოველ წელს აღრიცხავდნენ, აგრეთვე რაოდენნი იქორწინებდნენ და ყოველსავე მეფესა ცხადუყოფდნენ.[80]

პროექტში აღნიშნულია ახალი თანამდებობის შესახებ, „მეფისაგან მიჩენილი თავადი, სასულიერო მთავარი“, რომლის ფუნქციას შეადგენს სასულიერო და საერო ხელისუფალთ შორის შუამავლის როლის შესრულება. „იყოს დიკასტერიასა შინა მიჩენილი“ მოხელე, რომელიც ვალდებულია მეფეს მოახსენოს ყოველგვარი სასულიერო საქმე, ამასთან ერთად ეს მოხელე სამღვდელოებას მეფის გადაწყვეტილებას ამცნობს.[81] როგორც ჩანს, ეს თანამდებობა საერო ხელისუფლებას განეკუთვნებოდა, რომელიც კონტროლს უწევდა სასულიერო ხელისუფლებას. იოანე ბაგრატიონი დიკასტერიის შემადგენლობას 10-12 კაცით განსაზღვრავს, თუ შევადარებთ 1917 წლის „საკათალიკოსო საბჭოს“ , მათი შემადგენლობაც 10-12 კაცით განისაზღვრებოდა. იოანე ბატონიშვილის დიკასტერია რუსული საეკლესიო მმართველობის ფორმას ჰგავს. პროექტში აღნიშნული სასულიერო მთავარი იგივეა რაც რუსულ სინოდში საიმპერატორო ხელისუფლების მიერ დანიშნული ობერ-პროკურორი. პროექტით კათალიკოსის უფლებები შეზღუდულია დიკასტერიის მიერ და მეფის მიერ მიჩენილი მთავარი კონტროლს უწევს დიკასტერიის საქმიანობას. აქედან ცხადად ჩანს, რომ იოანე ბატონიშვილისათვის ისევე, როგორც მისი პაპის ერეკლე მეორესათვის, რუსული სახელმწიფოებრივი წყობილება მისაბაძი იყო.

---

[80] ი. ბაგრატიონი. სჯულდება. ი. სურგულაძის რედაქციით. თბ. 1957. გვ. 27-28.
[81] იქვე. გვ. 65-66.

არანაკლებ საინტერესოა გიორგი მეთორმეტის მეორე ვაჟის დავითის მიერ შედგენილი „სამართალი ბატონიშვილისა დავითისა“, რომელიც მამის, გიორგი მეთორმეტის ბრძანებით შეუდგენია დავითს XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, რომელიც შედგენილია იმდროინდელი რუსული სამართლის ძეგლების გათვალისწინებით. დავითს სურდა, რომ საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის დამყარებულიყო ისეთივე დამოკიდებულება, როგორც იყო რუსეთში წარმოდგენილი. დავითი ეკლესიის მმართველ ორგანოდ დიკასტერიას წარმოიდგენს, მე-100 მუხლის თანახმად „უპირველესი დიკასტერია, რომლისა მიერცა იმართების საქართველოს სასულიერო ჯერ-არს ესე ტფილისსა შინა ყოფად“.[82] დავით ბატონიშვილი თვლიდა, რომ უნდა შემცირებულიყო ეპისკოპოსების რიცხვი, რადგან მისი თქმით, მათი სიჭარბე აგლახაკებდა მოსახლეობას.

დავით ბატონიშვილის სამართალში დიკასტერია შედგებოდა 4 მღვდელმთავრისაგან, მიტროპოლიტი იყო მუდმივი წევრი, ხოლო ეპისკოპოსები ოთხ-ოთხი თვითონ ასრულებდნენ დიკასტერიის წევრის მოვალეობას. დიკასტერიას უნდა ჰყოლოდა მეფის ერთი პროკურორი. ის უცხადებდა მეფის ბრძანებას დიკასტერიას. ის იყო დიკასტერიის წევრების მეთვალყურე, რათა რამე საკითხი უკანონოდ არ გადაეწყვიტათ.[83] დიკასტერია იკრიბებოდა ოთხშაბათსა და პარასკევს.

როგორც დავით ბატონიშვილის სამართლიდან ჩანს, მისი დროის პირველი პირი მზად იყო გაეუქმებინა კათლიკოსის თანამდებობა, ოღონდ ქართული სამართალი დამსგავსებოდა რუსულს. დავითმა ერთგვარი ინსტრუქცია შექმნა რუსეთის ხელისუფლებისათვის და სინოდისათვის ქართული ეკლესიის იერ-სახის შესაცვლელად.[84]

---

[82] სამართალი ბატონიშვილისა დავითისა. დ. ფურცელაძის რედაქციით. თბ. 1964. გვ. 166.
[83] ა. ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული. თბ. 2010. გვ. 7-11.
[84] იქვე. გვ. 15-17.

როგორც ჩანს, დავით ბატონიშვილის სამართლის წიგნით უსარგებლიათ და გამოუყენებიათ რუსეთის საეკლესიო ხელისუფლებას, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეპარქიების რიცხვი შემცირდა.[85]

ერეკლე მეორე რომ რუსეთის ხელისუფლების და მისი პოლიტიკის მომხრე იყო, ეს აშკარად ჩანს მისი ქმედებებიდან. მართლმსაჯულების დასამყარებლად ერეკლე II ვახტანგ VI-ის „დასტურლამალის“ ზოგიერთ წესს ცვლიდა. 1760 წელს ერეკლე II-ის ბრძანებით, თარგმნეს 1649 წლის სამართლის წიგნი. ასევე მან ათარგმნინა პეტრე I-ის დროინდელი კანონმდებლობა. კერძოდ, 1721 წელს მიღებული „რეგლამენტი“.[86]

[85] იქვე. გვ. 12-13.
[86] სამართალი ბატონიშვილისა დავითისა. დ. ფურცელაძის რედაქციით. თბ. 1964. გვ. 13-14.

თავი V

რუსეთში არსებული დიკასტერიის ფუნქციებისა და საქართველოში დაარსებული დიკასტერიის შედარებითი ანალიზი

უნდა აღინიშნოს ის განსხვავება, რაც არსებობდა რუსულ დიკასტერიას და ქართულ კოლეგიურ ორგანოს – დიკასტერიას შორის.

როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა, რუსეთში დაარსებულ დიკასტერიასა და საქართველოში დაარსებულ დიკასტერიას შორის განსხვავება აშკარად შესამჩნევია. ვიდრე განვიხილავდეთ რუსეთში დაარსებული დიკასტერიის დეტალებს, განვიხილოთ რუსული ეკლესიის მიერ განვლილი გზა.

რუსულმა მართმადიდებლურმა ეკლესიამ განვითარების რამდენი ეტაპი განვლო:

1. 988-1589 წწ რუსეთის ეკლესიას სათავეში ედგა კონსტანტინოლოპის პატრიარქის მორჩილებაში მყოფი მიტროპოლიტი.
2. დამოუკიდებლობის შემდეგ, 1589 წლიდან 1721 წლამდე რუსეთის ეკლესიის სათავეში იმყოფებოდა პატრიარქი.
3. 1721 წელს პეტრე პირველმა „სასულიერო რეგლამენტით“ დააწესა კოლეგიალური სინოდი, რომლის წევრებსაც მეფე ნიშნავდა.

ამ რეფორმის თანახმად, ეკლესიას პატრიარქის ნაცვლად ედგა სასულიერო კოლეგია. ეკლესიის საქმიანობა ექვემდებარებოდა მეფის სინოდის შემადგენლობაში შემავალ ობერ-პროკურორს. რუსეთში ყველა სასულიერო დავა მხოლოდ სასულიერო უწყებების ინსტანციებში წყდებოდა. [87]

ეკლესიის უფლებების ამგვარად შეზღუდვა და მისი უფლებების სახელმწიფო ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებაში გადასვლა განაპირობა იმან, რომ რუსეთში აბსოლუტიზმი განმტკიცდა. ეკლესია მონარქის ნების გამომხატველ ორგანოდ გარდაიქმნა. პეტრე პირველის რეფორმის თანახმად, ეკლესიის წარმომადგენლებს მხოლოდ ფორმალური უფლებები შემორჩათ. პეტრე პირველის მიერ მიღებული 1721 წლის რეგლამენტი დიკასტერიას, როგორც მოქმედ სასამართლო ორგანოს არ ცნობს. რუსეთში, 1721 წლიდან ეკლესიის უმაღლესი ორგანო იყო სინოდი, რომელიც ასევე სასამართლოს უმაღლეს ინსტანციასაც წარმოადგენდა. ეკლესიას ობერ-პროკურორი ხელმძღვანელობდა, იგი საერო პირი იყო და დიდი უფლებებით სარგებლობდა. რუსეთში საერო ხელისუფლებისადმი ეკლესიის მორჩილება, რაც პეტრე პირველმა წამოიწყო 1721 წელს პატრიარქის თანამდებობის გაუქმებით, 1784 წელს დაასრულა ეკატერინე მეორემ. [88]

რუსეთში, ეკლესიის მმართველობის უმაღლეს ორგანოში – სინოდში, ყოველთვის იმყოფებოდა ობერ-პროკურორი, ეს იყო მეფის წარმომადგენელი, საერო პირი, რომელიც სასულიერო საქმეების განხილვის დროს კრებას ესწრებოდა და მეფეს ცნობებს აწვდიდა კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

რაც შეეხება ქართლ-კახეთის სამეფოში დაარსებულ დიკასტერიას, განსხვავებულ ორგანოს წარმოადგენდა. ეს იყო კოლეგიური ორგანო. ქართლ-კახეთის სამეფოში რადიკალური უფლებრივი შეზღუდვა ეკლესიის მიმართ არ განხორციელებულა,

---

[87] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 185-186.

[88] მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970. გვ. 186-187.

თუმცა დიკასტერია ერთგვარად ქმნიდა საეკლესიო უწყებას და აწესრიგებდა გარკვეულ საკითხებს. ამასთან ერთად, ქართული ეკლესია ასე სწრაფად მეფის გავლენის ქვეშ ვერ მოექცეოდა, ამას გარკვეული ეტაპების გავლა სჭირდებოდა, საქართველოში ამ პერიოდისთვის ხელისუფლებას აბსოლუტური ძალაუფლებისათვის არ მიუღწევია, როგორც ეს იყო რუსეთში.

ანტონ I-ის რუსეთში ყოფნის დროს სასულიერო ხასიათის დავა მხოლოდ სასულიერო ინსტანციებში წყდებოდა, ხოლო რაც შეეხება საქართველოს, აქ სასულიერო ხასიათის დავებს საერო წარმომადგენლებიც განიხილავდნენ.

დიკასტერია მხოლოდ კათოლიკოს-პატრიარქს ემორჩილებოდა და მისი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა, რუსეთის დიკასტერიისაგან განსხვავებით, სადაც პატრიარქი მთლიანად დაქვემდებარებული იყო სინოდსა და მეფის პროკურორს.

თუ ჩავთვლით, რომ ანტონ პირველმა რუსული ეკლესიის მიბაძვით შემოიღო დიკასტერია საქართველოში, მაშინ რატომ არ მიიღო იგივე სახე, რაც რუსულ სინამდვილეში იყო წარმოდგენილი? ფაქტია, რომ ანტონ პირველს გარკვეული გავლენა აქვს რუსეთის, მაგრამ მას რომ სრულად რუსული ეკლესიის ორგანიზაციის გადმონერგვა სდომებოდა, დააწესებდა კოლეგიალურ სინოდს, რომელიც უმაღლეს სასულიერ მმართველობას წარმოადგენდა რუსეთში. ამასთან ერთად ანტონ პირველი სინოდის საქმიანობის შესახებ ყველანაირ ინფორმაციას ფლობდა. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ანტონ პირველს რუსული სინოდის მაგვარი ორგანო რომ დაეწესებინა, ის საბოლოოდ აიღებდა ხელს თავის გეგმებზე, რომელთა განხორციელებაც სურდა მას ამ სფეროში. რეალურად დიკასტერია ხომ პატრიარქის მუშაობის გამუჯობესების მიზნით შეიქმნა. ანტონის ავტორიტეტი შეიბღალებოდა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, რუსეთში სინოდის შემოღებით ეკლესია საბოლოოდ დაექვემდებარა რუსეთის ხელისუფლებას და მისი ნების გამომხატველ ორგანოდ გადაიქცა. სწორედ ამ მიზეზების გამო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ანტონ პირველს ზუსტად რუსული ეკლესიის

მსგავსი ორგანო გადმოეღო საქართველოშიც. როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიას მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართალს იმგვარადვე, როგორც ქართული ეკლესია თავისი წესწყობილებით ბევრი თვისებებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს“.[89]

თავი VI

დიკასტერია XIX საუკუნის I ნახევარში.

მანიფესტის გამოცხადების შემდეგ რუს მოხელეებს ხელ-ფეხი გაეხსნათ, რომ უფრო თამამად ჩარეულიყვნენ საქართველოს ეკლესიის საქმეებში და საკუთარი ნება-სურვილით ემართათ. საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შემოერთების შემდეგ საქართველოს ეკლესიაც უნდა შეერთებოდა რუსეთის სინოდის გამგეობას. რუსეთის სამეფო დიდხანს ვერ შეეგუებოდა ასეთ ვითარებას, ვერ მოითმენდა დამოუკიდებელი ეროვნული საეკლესიო ორგანიზაციის არსებობას, მით უმეტეს, რომ ამ პერიოდში მას სათავეში ედგა მეფის ძე და მეფის ძმა კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე.[90]

რუსეთის ხელისუფლების აზრით, სახელმწიფო აპარატს დაქვემდებარებული ეკლესია უნდა ყოფილიყო იმპერიის ერთ-ერთი დასაყრდენი ძალა, მისი პოლიტიკის გამტარებელი. რასაკვირველია, ასეთ მისიას რუსეთის მთავრობა ქართულ ეკლესიას ვერ და არ დააკისრებდა. ახალ მართვა-გამგეობასთან შეუთავსებელი იქნებოდა

[89] ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. ტ. I. თბ. 1928. გვ. 18-19.
[90] ზ. აბაშიძე. „მეფის ძე და მეფის ძმა''. ჟ.“ხედი''. თბ. 2006. გვ. 22-24.

საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა. რუსეთის მთავრობის ძირითადი მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი ერთ-ერთ შემოსავლის წყაროდ გადაქცევა.

სწორედ ამ მიზნით კარლ კნორინგმა 1801 წლის თებერვალში ანტონ მეორეს კატეგორიულად მოსთხოვა ეცნობებინა მისთვის სააქართველოს ეკლესიის სტრუქტურა, ეპარქიების რაოდენობა, განათლების სისტემა, შემოსავლები და ა.შ[91] აქედან ჩანს, თუ როგორ დაინტერესდა რუსეთის სამეფო კარი საქართველოს ეკლესიით. ანტონ მეორემ საპასუხოდ დასაბუთებული პასუხი გაუგზავნა კ. კნორინგს. ეს გააკეთა იმიტომ, რომ რუსეთის სამეფო კარისთვის დაენახვებინა, თუ რამდენად ძირძველი ტრადიციების მქონე იყო ქართული ეკლესია. მან თავის მოხსენებაში ეკლესიის წარსულზე დიდი ყურადღება გაამახვილა. იგი წერდა, რომ წმინდა ნინოსა და მირიან მეფის დროს მოხდა ქართული ეკლესიის ჩამოყალიბება, აიგო პირველი ქართული ეკლესიები, მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში კი ვახტანგ გორგასლის დროს ეკლესიამ მოიპოვა ავტოკეფალია, რომ მეფეები და მთავრები დიდად ზრუნავდნენ ეკლესია-მონასტრების გამრავლებისათვის. ასევე მოახსენა ეკლესიის როლზე სწავლა-განათლების განვითარებაში, რომ სასულიერო კადრების მომზადებაში დიდ როლს ასრულებდნენ ერეკლე მეფის დროს თბილისსა და თელავში გახსნილი სასულიერო სემინარიები. აღსანიშნავია, რომ ანტონ მეორის მიერ მიწოდებულ ცნობებში ნაკლები ადგილი ეთმობოდა ეკლესიის ფინანსებს, რუსეთის სამეფო კარს კი ყველაზე მეტად სწორედ ეს აინტერესებდა.[92]

აქტიური ნაბიჯები ქართული საეკლესიო სტრუქტურების რეორგანიზაციის თვალსაზრისით გადაიდგა მთავარმართებელ ალექსანდრე ტორმასოვის დროს (1809-1811). მან გადაწყვიტა ქართული ეკლესიის რეორგანიზაცია, რაც რეალურად

[91] ვ. გურული. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, 1811-1814. თბ. 2010. გვ. 10-11.

[92] ე. ბუბულაშვილი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, 1811-1814. თბ. 2002. გვ. 18-19.

ითვალისწინებდა მზადებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისათვის. მთავარმართებელმა კატეგორიულად მოითხოვა, ეკლესიაში უწესრიგობის მოგვარების მიზნით რეორგანიზაცია მომხდარიყო. თვლიდა, რომ რუსეთის მსგავსად უნდა დაარსებულიყო დიკასტერია (რუსეთის ეპარქიებში საეკლესიო-სამმართველო ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანო), რაზეც თანხმობა განაცხადა ანტონ II-მ.[93]

ა. ტორმასოვს მიაჩნდა, რომ რეორგანიზაცია იქნებოდა წინგადადგმული ნაბიჯი ავტოკეფალიის გაუქმებისათვის. ამ მიზნით მან მოხსენება გაუგზავნა რუსეთის სინოდის ობერ-პროკურორს ალექსანდრე გოლიცინს 1809 წლის ივნისში. ა.ტორმასოვი მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ დიკასტერია უნდა დაეარსებინა ანტონ მეორეს, მის მოადგილედ უნდა დანიშნულიყო ვარლამ ერისთავი, რომელიც რუსეთში მოღვაწეობდა და იცოდა დიკასტერიის მოღვაწეობის წესები. ამასთან, დიკასტერიის წევრი უნდა გამხდარიყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორი ალექსი პეტრიაშვილი, რომელიც ბერად აღკვეცის შემდეგ ჩაიბარებდა თბილისის ეპარქიას.[94] მისი კანდიდატურა ა.ტორმასოვისათვის მისაღები იყო, რადგან ა.პეტრიაშვილი რუსული პოლიტიკის გამტარებლად ითვლებოდა. ის ასევე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ სასულიერო პირთა შორის, ანტონ მეორეც დიდად აფასებდა მას.[95]

ცხადი იყო, რომ დიკასტერიის პრეზიდენტად ანტონის დანიშვნა კათოლიკოსის ინსტიტუტის დაკნინებას მოასწავებდა. ანტონის რუსეთში გაწვევის შემდეგ კათოლიკოსი და მისი ხელისუფლება დე-ფაქტო აღარ იარსებებდა, ხოლო მისი გარდაცვალების

[93] ვ. გურული. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. თბ. 2010. გვ. 39.
[94] ე. ბუბულაშვილი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე. თბ. 2002. გვ. 37-38.
[95] მ. ბერძენიშვილი. მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. თბ. 1940. გვ. 48-49.

შემდეგ პატრიარქს საერთოდ აღარ აირჩევდნენ და ეკლესიის მართვა-გამგეობა დიკასტერიის ხელში გადავიდოდა.[96]

1809 წელს ანტონ მეორემ შეადგინა პროექტი დიკასტერიის დაარსების შესახებ. პროექტით, უქმდებოდა თბილისის სამიტროპოლიტო, ხოლო საკათედრო ტაძარი სიონი უნდა დაქვემდებარებოდა კეთილშობილთა სასწავლებლის დირექტორს ალექსი პეტრიაშვილს. სწორედ ამ ფაქტმა აღაშფოთა თბილელი მოტროპოლიტი არსენი, რომელიც პატრიარქის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. რუსი მოხელეები ყველა გზას მიმართავდნენ პატრიარქის იზოლაციაში მოსახვედრად, ისინი ცდილობდნენ სასულიერო პირები მოექრთამათ, თავიანთ მხარეს გადაეყვანათ და კათოლიკოსისთვის დაეპირისპირებინათ. სწორედ ამ ხერხით მოხდა არსენ ტფილელის დაპირისპირება ანტონ II – სადმი, რომლის მიერ წამოყენებული ბრალდებები გახდა საბაბი, რომ ანტონ მეორე საქართველოდან გაეწვიათ რუსეთში, რაც ფაქტობრივად გადასახლებას ნიშნავდა. ამ დროისთვის უკვე თითქმის ყველა სამეფო გვარის წევრი გადასახლებული იყო რუსეთში და ერთადერთ საწინააღმდეგო ძალად მათთვის სწორედ ანტონი რჩებოდა.[97]

სასულიერო დიკასტერიის დაარსებასთან დაკავშირებით 1809 წლის ნოემბერში მოვიდა ცნობა ალექსანდრე გოლიცინისგან ანტონ II-ის რუსეთში წასვლის აუცილებლობის შესახებ. ანტონი კარგად ხვდებოდა რეალურ ზრახვებს რუსეთის სამეფო კარისას, მაგრამ გარეგნულად არაფერს იმჩნევდა, მან ავადმყოფობის გამო წასვლაზე უარი განაცხადა, სამაგიეროდ მის მაგივრად გაემგზავრებოდნენ არქიეპისკოპოსი ვარლამი და არქიმანდრიტი დოსითეოზი, რომელთაც ექნებოდათ საჭირო ინფორმაცია. რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ანტონის წინადადებაზე უარი თქვეს და დიკასტერიის დაარსების საკითხი ანტონის გამოჯანმრთელებამდე გადადო იმპერატორმა. ანტონ II - ის გამგზავრება გარდაუვალი აღმოჩნდა. მისი

[96] ვ. გურული. საქართველოს საოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. თბ. 2010. გვ. 42-43.
[97] მ. ჯანაშვილი. „კათოლიკოზი ანტონ მეორე''. ჟ. „მწყემსი''. N 8. თბ. 1885. გვ. 8.

გამგზავრება გადაწყდა 1810 წლის 3 ნოემბერს. გამგზავრების წინ ანტონი გამოემშვიდობა მღვდელმთავრებს, ვარლამის თავმჯდომარეობით კი სასულიერო მმართველობა შეადგინეს. სწორედ მას დაავალა მთავრობამ საეკლესიო სტრუქტურების რეორგანიზაციისა და დიკასტერიის შექმნის პროექტის შედგენა, რაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას გულისხმობდა. 1811 წლის 21 ივნისს პროექტი იმპერატორს გაეგზავნა, რომელმაც 30 ივნისს დაამტკიცა პროექტი წარწერით: ''ასე იყოს".[98]

პროექტის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოში არსებული 13 ეპარქიიდან უნდა დარჩენილიყო 2 ეპარქია: მცხეთის, ანუ ქართლის და ალავერდის, ანუ კახეთის. 9 საარქიმანდრიტოდან უნდა დარჩენილიყო 5 საარქიმანდრიტო, დიკასტერიის დაარსების შემდეგ სამღვდელოების რიცხვი უნდა შემცირებულიყო, დიკასტერია მიიღებდა ცნობებს ეკლესიების დახურვის, ღვთისმსახურების ხარისხის მინიჭების, საეკლესიო შემოსავლების და სხვა. სამღვდელოების შვილების სწავლა-განათლების მისაღებად გიმნაზიის ნაცვლად უნდა დაარსებულიყო სასულიერო სემინარია. მცხეთის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის წოდება იქნებოდა: „მიტორპოლიტი მცხეთისა და ქართლისა და უწმიდესი სინოდის ეგზარქოსი საქართველოში". იგი დაექვემდებარებოდა რუსეთის უწმიდეს სინოდს.[99] ა. ტორმასოვის აზრით, ეგზარქოსი უნდა გამხდარიყო ვარლამ ერისთავი. ასეთი იყო იმ დოკუმენტის შინაარსი, რომელმაც მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია გააუქმა.

[98] ზ. აბაშიძე. „მეფის ძე და მეფის ძმა''.ჟ. „ხედი''. თბ. 2006. გვ. 23-24.

[99] ვ. გურული. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. თბ. 2010. გვ. 67.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, XVIII საუკუნის II ნახევარში გარკვეული ცვლილებები მიმდინარეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კი იყო საეკლესიო სფეროში განხორციელებული მთელი რიგი ცვლილებები და სიახლეები, რამაც გარკვეული ასახვა ჰპოვა პოლიტიკურ სფეროზეც.

საეკლესიო სფერო ყოველთვის ყველა ეპოქაში იყო აქტუალური და მასში განხორციელებული ცვლილებები დადებითად ან უარყოფითად აისახებოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

ჩვენს მიერ შესწავლილ პერიოდში მომხდარი ცვლილებები საეკლესიო სფეროში იმ პერიოდს დაემთხვა, როცა რუსეთის იმპერიის ზრახვები ქართული სამეფო-სამთავროების მიმართ უკვე აშკარაა, ამასთან ერთად გარკვეული სიახლოვე ჩვენი ქვეყნის მხრიდან შეიმჩნევა რუსეთის იმპერიისადმი. ეს ჩანს იქიდანაც, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ პირველი რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ საქართველოში აარსებს საეკლესიო-სასამართლო ორგანოს – დიკასტერიას. ეს ორგანო კი რუსეთში დაარსა იმპერატორმა პეტრე პირველმა XVIII საუკუნის 20-იან წლებში.

უდავო ფაქტად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ დიკასტერია ქართლ-კახეთის სამეფოში დაარსდა სწორედ ანტონ I-ის რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ. მანამდე ქართულ სინამდვილეში ასეთი ფაქტი არ მომხდარა.

ფაქტია, რომ კათოლიკოსის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება სამეფო ხელისუფლებას არ გაუპროტესტებია, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ანტონ პირველის მიერ დაარსებული დიკასტერია შემდგომში მეფემ დაამტკიცა.

ქართულ და რუსულ დიკასტერიას შორის განსხვავება ბევრია, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ანტონ პირველი რუსეთში მოღვაწეობდა და რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ დაარსა საქართველოში დიკასტერია, გვაფიქრებინებს იმას, რომ გარკვეული გავლენა მის ასეთ გადაწყვეტილებაზე მაინც იმოქმედა რუსეთის სამეფო კართან სიახლოვემ. მაგრამ საბოლოოდ იმის თქმა, რომ ანტონ პირველმა რუსეთის ეკლესიის პრინციპებზე ააგო ქართული ეკლესია, არ იქნება მართებული, რადგან ასეთ შემთხვევაში ეკლესია საბოლოოდ დაექვემდებარებოდა მეფის ხელისუფლებას (როგორც ეს რუსეთში იყო წარმოდგენილი) და ანტონ პირველი საბოლოოდ ხელს აიღებდა თავის გეგმებზე და რაც მთავარია, მისი, როგორც კათოლიკოსის ავტორიტეტი დაკნინდებოდა.

რაც შეეხება დიკასტერიას და მისი საქმიანობის სფეროს, ეს საკითხი ნაკლებადაა გამოკვლეული და ეს ართულებს სამართლებრივი ხასიათის ინსტიტუტების შესწავლას, მაგრამ არსებული საბუთების შესწავლის შედეგად შეიძლება ვთქვათ, რომ დიკასტერია მხოლოდ სასულიერი სასამართლოს არ წარმოადგენდა, არამედ ის საეკლესიო ხასიათის საქმეებს განიხილავდა. ეს იყო კათოლიკოს-პატრიარქის ორგანო, რომელიც საეკლესიო საქმის მართვის გაუმჯობესების მიზნით დაარსდა, ამასთან ერთად კი სასამართლო ფუნქციასაც ანხორციელებდა.

როგორც საბუთებიდან ირკვევა, დამოუკიდებელი ქართლ-კახეთის სამეფოში, დიკასტერიის შემადგენლობა მისი არსებობის მანძილზე (1778-1801), 23 წლის განმავლობაში, განისაზღვრებოდა 14 კაცის შემადგენლობით. საინტერესოა ის, რომ დიკასტერიის შემადგენლობაში ყველა რანგის სასულიერო მოხელე შედიოდა. დიკასტერიაში საქმის განხილვის დროს იკრიბებოდა სამი, იშვიათ შემთხვევაში კი – ხუთი კაცი.

კათოლიკოს-პატრიარქი სასულიერო სასამართლოს უზენაესი მოსამართლე იყო, ის თვითონ ანაწილებდა საქმეებს განსახილველად. თვითონ კათოლიკოსი იშვიათად ჩანს საქმის გარჩევის დროს დიკასტერიის შემადგენლობაში.

საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ დიკასტერია განიხილავდა შემდეგ სადავო საკითხებს:

1. ეკლესია-მონასტრის ქონების საქმეს.
2. ყმის განკარგვისა და მისი საკუთრების საკითხს.
3. ეკლესია-მონასტრების საკუთრებაში მყოფი ყმებისა და მამულების დამტაცებელთა წინააღმდეგ დავას.
4. სამღვდელო პირების მიერ ჩადენილ შეუფერებელ საქციელს.
5. ეკლესია-მონასტრის საკუთრებაში მყოფი ყმისთვის ქონების ჩამორთმევის საქმეს.

6. სასულიერო პირის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმის გამოძიება, იქნებოდა ეს სასულიერო თუ საერო პირი.
7. განქორწინების საქმის განხილვა.
8. საოჯახო ურთიერთობების განხილვა, დავა ცოლ-ქმარს შორის ან რძალსა და მამამთილს შორის და ა.შ.
9. ჯვარდაუწერელ წყვილთა ქორწინების საქმის განხილვა.

როგორც ნაშრომიდან ჩანს, დიკასტერია წარმოადგენდა მეფის ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ორგანოს, რომლის საქმიანობაც მრავალმხრივი იყო. ამ პერიოდის შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ეკლესია დამოუკიდებელი იყო სამეფო ხელისუფლებისაგან და ცალკე საეკლესიო სასამართლოც გააჩნდა დიკასტერიის სახით.

დამოწებული წყაროები და ლიტერატურა:

კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი:

1. Ad- 1504.
2. Qd- 1067.
3. Ad- 859.
4. Ad- 839.
5. Ad-829.
6. Ad-168.

წყაროები:

1. საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა. დ. ბაგრატიონი. ა. როგავას რედაქციით. თბ. 1959.
2. სამართალი ბატნიშვილისა დავითისა. დ. ფურცელაძის რედაქციით. თბ. 1964.
3. სჯულდება. ი. ბაგრატიონი. ი. სურგულაძის რედაქციით. თბ. 1957.

ლიტერატურა:

1. ა. ვაჩეიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიისა. ტ I. თბ. 1946.
2. ა. ხახანაშვილი. გუჯრები. თბ. 1891.
3. ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. IV. თბ. 2003.
4. ა. ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბ. 2009.
5. ა. ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კრებები. ტ. II. თბ. 2003.
6. ა. ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული. თბ. 2010.
7. ე. ბუბულაშვილი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე. თბ. 2002.
8. ვ. გურული. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, 1811-1814. თბ. 2010.
9. ვ. მეტრეველი. ქართული სამართლის ისტორია. თბ. 2003.
10. ზ. აბაშიძე. „მეფის ძე და მეფის ძმა''. ჟ. „ხედი''. თბ. 2006.
11. ი. ნიკოლაძე. საქართველოს ეკლესიის ისტორია. თბ. 1918.
12. ი. სურგულაძე. სასამართლო ორგანიზაცია გვიანფეოდალურ საქართველოში. ტ. 47. თბ. 1952.
13. ი. სურგულაძე. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის. ტ. IV. 2003.
14. ი. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. ტ. I. თბ. 1928.
15. ლ. მენაბდე. ძველი ქართული მწერლობის კერები. ტ. I. თბ. 1962.
16. მ. ბერძენიშვილი. მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. თბ. 1940.
17. მ. კეკელია. სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. თბ. 1970.

18. მ. ლეკვეიშვილი. მდივანბეგების ინსტიტუტი გვიანფეოდალურ აღმოსავლეთ საქართველოში. თბ. 1953.
19. მ. ჯანაშვილი. „კათოლიკოზი ანტონ მეორე''. ჟ. „მწყემსი''. თბ. 1885.
20. ნ. ჩუბინაშვილი. ქართული ლექსიკონი. თბ. 1961.
21. პ. იოსელიანი. ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა.გაწერელიას რედაქციით. თბ. 1936.
22. პ. კარბელაშვილი. იერარქია საქართველოს ეკლესიისა, კათოლიკოსნი და მღვდელთმთავარნი. თბ. 2011.
23. ს. ყაუხჩიშვილი. ლათინურ-ქართული ლექსიკონი. თბ. 1961.
24. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. თბ. 1973.
25. საქართველოს ისტორია. ი.ჯავახიშვილი. ს. ჯანაშია. ნ.ბერძენიშვილი. თბ. 1946.
26. ტ. რუხაძე ქართული-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1960.
27. ქართული სამართლის ძეგლები. ი. დოლიძის გამომცემლობა. ტ. III. თბ. 1970.
28. ქართული სამართლის ძეგლები. ი. დოლიძის გამომცემლობა. ტ. V. თბ. 1974.

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's Program in History of Georgia

Tamar Osadze

Dicastery and its role part in church ruling (second half of XVIIIth century – beginning of XIXth century)

The thesis is prepared for obtaining the academic degree of MA in History

Research Supervisor: Apolon Tabuashvili

TSU Associate Professor

Tbilisi

2019